საქართველოს
ილუსტრირებული ისტორია

ისტორია, რომელიც თაობებს აერთიანებს!

საქართველოს ისტორიის ეს ვიზუალური რეკონსტრუქცია მთავარ მოვლენებს, მნიშვნელოვან ფაქტებს, ოდესღაც რეალურად მომხდარ ამბავს ცალკეულ წიგნებად ყოფს და ერთ დიდ, მთავარ სერიად აერთიანებს. ეს წიგნები განკუთვნილია ყველა ასაკის მკითხველისთვის, ოჯახის ყველა წევრისთვის – უმცროსიდან – უფროს თაობამდე... გაცნობიდან – გახსენებამდე...

ილუსტრირებული ისტორიის ეს ტომეული არის კონკრეტული ეპოქების მკვლევარ-ისტორიკოსების მოთხრობილი და ხელწერითა და სტილით ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული მხატვრების მიერ ილუსტრირებული. გამოცემისთვის, დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შეიქმნა თითოეული ეპოქის საბრძოლო, საერო და საეკლესიო კოსტიუმები, რუკები და სხვ.

ყოველი აღწერილი ამბავი, ეპიზოდი, დეტალი, უნიკალური სამუზეუმო ექსპონატი, ფოტო და ფრესკა დოკუმენტურ სიზუსტეს სძენს წარმოდგენილ მასალას. სერიისთვის სპეციალურად შედგა სამუზეუმო ექსპონატთა ნუსხა, რომელიც მოგვაწოდეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის, საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს ეროვნული არქივის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არქივებიდან.

წიგნების ამ სერიის შესაქმნელად მეცნიერების, მხატვრების, ფილოლოგებისა თუ ტექნიკური პერსონალის დიდი გუნდი 3 წლის განმავლობაში დაუღალავად შრომობდა და შრომობს დღესაც...

ისტორია ქრონოლოგიური თანამიმდევრობით არ იქსოვება, ეს რთული ორნამენტია, ერთმანეთთან უხილავი ძაფით გადაბმული.

ამიტომაც აღნიშნული სერია მოიცავს განსხვავებულ თემებს, რომლებიც ერთმანეთს ებმის და ქმნის საქართველოს მატიანეს. თითოეული ტომი ამ მატიანის განსხვავებული ფურცელია, აქედან გამომდინარე, ყოველი ტომი ერთმანეთს ავსებს და ყოველი მათგანი თავისი უნიკალურობით არის მნიშვნელოვანი...

დაინახე შენი ისტორია

ტომი 27



პროექტის ხელმძღვანელი
ჯაბა სამუშია

რედაქტორი
ლადო იოსებაძე

კონსულტანტი:
ირინა არსენიშვილი
(ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,
პროფესორი)

კორექტორები:
ნატალია ჩიმაკაძე
ცისანა ბურჯანაძე

პროექტის მენეჯერი
ნესტან მაღალაშვილი

მხატვარ-დიზაინერი
რატი თორდია

პასუხისმგებელი რედაქტორი
ზურაბ აბაშიძე

დამკაბადონებელი
ლევან ლაცაბიძე

გამომცემლობა „პალიტრა L" განსაკუთრებულ მადლობას უხდის გაწეული დახმარებისთვის ბადრი ვადაჭკორიას, გოგა ჩანადირს, ირაკლი გედენიძეს, ნინო გედევანიშვილს.

© გამომცემლობა პალიტრა L, 2016
ყველა უფლება დაცულია

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. 49

238-38-71 book@palitra.ge www.palitral.ge

ISBN 978-9941-21-749-4 (ყველა ტომისთვის)
ISBN 978-9941-24-405-6 (ტომი 27)

სამთავისი. სამხრეთ-აღმოსავლეთი კუთხის რელიეფი. ფრაგმენტი

ბანა. სვეტი კორინთული კაპიტელით

ნინო ხუნდაძე
დინარა ვაჩნაძე

ქართული ხუროთმოძღვრება



GEORGIAN NATIONAL MUSEUM
GEORGIAN STATE MUSEUM OF THEATRE, MUSIC, CINEMA AND CHOREOGRAPHY
საქართველოს ეროვნული არქივი
NATIONAL ARCHIVES OF GEORGIA
საქართველოს ილუსტრირებული ისტორია

მელესი. კანკელის არქიტრავი. XI ს.

სარჩევი

5. შესავალი
6. ძვ. წ. V-I და ახ. წ. I-IV საუკუნეების ხუროთმოძღვრება
8. უძველესი ციხე-ქალაქები
10. ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება
11. ბაზილიკის ხუროთმოძღვრული ტიპი
14. VI-VII საუკუნეების ხუროთმოძღვრება
17. ქალაქმშენებლობა
19. გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრება
24. კათედრალური ტაძრები
28. ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ხუროთმოძღვრება
30. ვანის ქვაბები და ვარძია
31. XIII-XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება
34. მთის საერო ხუროთმოძღვრება. ხიდები
36. „ახალი“ ხანის ხუროთმოძღვრება – XIX-XX საუკუნეები
42. XX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრება
46. სიტყვის კონა
47. გამოყენებული მასალები

დავათის სტელა. VI ს.

კვეტერა. X ს.

შესავალი

ხუროთმოძღვრება, იგივე არქიტექტურა, განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, პროექტირებისა და შენების, ასევე, ფიზიკური გარემოს გარდაქმნის ხელოვნებაა. სამშენებლო – განმარტებით ლექსიკონში კი აღნიშნულია, რომ არქიტექტურა ადამიანისათვის ყოველმხრივ შესაბამისი კომფორტული სივრცის შექმნის ხელოვნებაა. ასეა თუ ისე, ცხადია, რომ არქიტექტურა სივრცეში სივრცის შექმნისა და ორგანიზების ხელოვნებაა, სივრცის, რომლის თავისებურებაც კონკრეტული დანიშნულებით განისაზღვრება. თუმცა, ნაგებობის თავისებურებას მხოლოდ მისი ფუნქცია არ განსაზღვრავს. ხუროთმოძღვარმა, უპირველესად, შენობისათვის განკუთვნილი ადგილმდებარეობა, ლანდშაფტი უნდა გაითვალისწინოს. შეუძლებელია, მთასა და ბარში ერთი და იმავე კონსტრუქციის ნაგებობათა მშენებლობა. განმსაზღვრელი ფაქტორია ასევე კლიმატური პირობები – ნესტიანი და მშრალი ჰავა არქიტექტურისადმი განსხვავებულ მიდგომას, ასევე, განსხვავებული სამშენებლო მასალის შერჩევას განაპირობებს.

პირველყოფილი საზოგადოებიდან მოყოლებული, ათასწლეულების განმავლობაში, განსხვავებულ კულტურათა განვითარების ისტორია ნათლად წარმოჩნდება ცალკეულ არქიტექტურულ ნაგებობათა თუ არქიტექტურული ანსამბლების, ასევე, ქალაქმშენებლობის თავისებურებებში. თითოეული ქვეყნის ხუროთმოძღვრული სისტემა რელიგიის, ხალხის ფსიქოლოგიისა და ხალხური ტრადიციების, ასევე, სამშენებლო ხელოვნების ტრადიციების საფუძველზე იქმნება.

ქართული კულტურის თავისებურებებიც, მისი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ქვეყნებთან, ქართველ ოსტატთა შემოქმედებითი ბუნება ნათლად წარმოჩნდება ქართული ხუროთმოძღვრების განვითარების საფუძველზე. უპირველესად აღსანიშნავია, რომ საქართველოს გეოგრაფიულმა მდებარეობამ 3 განსხვავებული ხასიათის არქიტექტურის განვითარება განსაზღვრა – მთის, ბარისა და ზღვის. თუმცა, „უნდა გვახსოვდეს, რომ ქართული ხუროთმოძღვრების ძირითად პრინციპს შენობის ძირითადი აგებულების, გარეგანი აღნაგობისა და სახის ჰარმონიული შეთანხმება წარმოადგენს, ხოლო დამახასიათებელ თვისებად ნაგებობათა მოხდენილი პროპორციულობისა და სიმეტრიის დაცვა სჩვევიათ“ (ივანე ჯავახიშვილი).

ჩუკულის კარი. XI ს.

ნადირობის სცენა. ატენის სიონი. VII ს.

ძვ. წ. V–I და ახ. წ. I–IV საუკუნეების ხუროთმოძღვრება

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. საქართველოს მიწა-წყალზე კულტურის განვითარება მოიცავს რამდენიმე ათასწლეულს. კულტურა იყოფა ორ ძირითად პერიოდად: განვითარების დასაწყისიდან მეოთხე საუკუნემდე – ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებამდე და შუა საუკუნეების – ქრისტიანული რელიგიის გამოცხადების შემდგომ ხანაში განვითარებული კულტურა.

ძვ. წ-ის I ათასწლეულის პირველ ნახევარში საქართველოში ჩამოყალიბდა ორი სახელმწიფოებრივი ერთეული: კოლხეთი, დასავლეთ საქართველოში და იბერია, აღმოსავლეთ საქართველოში. მათ შესახებ ცნობები მოიპოვება ანტიკური ხანის ნაწარმოებების ავტორებთან – სტრაბონთან, ვიტრუვიუსთან, ქსენოფონტესთან...

საქართველოში დასახლების უძველესი ნიშნები პალეოლითის ეპოქიდან მოგვეპოვება. ეს იყო ბუნებრივი გამოქვაბულები. რაც შეეხება სამშენებლო ხელოვნების უძველეს ნიმუშებს, რომლებიც ჩვენთვის დღეს ცნობილია, ძვ. წ. V-IV ათასწლეულებს მიეკუთვნება.

ხრამის გორის ნასახლარი. ძვ. წ. V–IV ათასწლეული. შულავერის, იმირისა და ხრამის გორაზე აღმოჩენილია ნასახლარები, რომლებსაც გეგმაში წრიული ფორმა ჰქონდათ (დიამეტრი 2,5–3 მ). ყოველ მათგანს საკუთარი კერა ჰქონდა. დამატებითი, ასევე წრიული ფორმის, თუმცა შედარებით მცირე ზომის სამეურნეო დანიშნულების სადგომები განლაგებული იყო ძირითადი საცხოვრებელი სადგომების გარშემო. კედლები ამოშენებული იყო გამოუმწვარი თიხისგან და ჰქონდა კონუსისებური (4-8 ქანობით) სახურავი. იმირის გორაზე გვხვდება საცხოვრებლები ბრტყელი გადახურვითაც. აღსანიშნავია კერის თავზე კვამლის გასასვლელად დატოვებული ღიობი, რაც განათების წყაროსაც წარმოადგენდა.



ქვაცხელები. ალექსანდრე ჯავახიშვილის რეკონსტრუქცია. ძვ. წ. III ათასწლეული.
უფრო განვითარებული ფორმის საცხოვრებელი სახლი აღმოჩენილია ქვაცხელებში (სოფელ ურბნისთან, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე). ეს უკვე კვადრატული ფორმის სადგომია, მომრგვალებული კუთხეებით (რაც მოწმობს, რომ ამ სახლების საფუძველს წრიული ნაგებობები წარმოადგენდა) , ცენტრში ამ სახლებს ჰქონდა ბოძი, რომლის წინაც კერა იყო განთავსებული. ოთახის წინ მიდგმული იყო დერეფანი. ოთახსაც და დერეფანსაც ბრტყელი გადახურვა გააჩნდა, რომლის ცენტრშიც დატოვებული იყო ღიობი. ეს დეტალი დამახასიათებელ ნიშნად იქცა გლეხის საცხოვრებელი სახლისათვის (დარბაზი).

დოლმენი. ეშერა. ძვ. წ. III ათასწლეულის II ნახევარი

საქართველოში აღმოჩენილია სხვადასხვა ფორმის სამარხებიც: ყორღანის ფორმის სამარხები, რომლებიც აღმოჩენილია სამგორის ველზე, თრიალეთში (ძვ. წ. III ათასწლეულის ბოლო–II ათასწლეულის დასაწყისი) და დოლმენები — დასავლეთ საქართველოში, აფხაზეთის ტერიტორიაზე





„დარბაზის“ გვირგვინული გადახურვა ერდოთი

დედაბოძი. ნ. ბრაილაშვილის რეკონსტრუქცია

დარბაზის ინტერიერი. ნ. ბრაილაშვილის ნახატი. 1947 წ.

დარბაზი

დარბაზი აღმოსავლეთ საქართველოს საცხოვრებელი სახლის უძველესი ტიპია (ძვ. წ. III-ახ. წ. XVIII), რომელიც მეგარონის მსგავსად ერთსათავსიანი სივრცეა, წინ დერეფნით და შუაში კერით. დარბაზი გეგმაში კვადრატს წარმოადგენს და გადახურულია ხის კიბურ-კოჭოვანი (საფეხურებიანი) „გუმბათით“. „გუმბათის“ ცენტრში გაჭრილია სინათლისა და საკვამურის ღიობი. „გუმბათი“ ჩუქურთმით გაფორმებულ დედაბოძებს ეყრდნობა (2, 3 ან 4), რომლის ზედა ნაწილი განიერია და ქვემოთ თანდათან ვიწროვდება.

არსებობს დარბაზის ორი ტიპი – ქართლური (დარბაზი) და მესხური (დარბაზოვანი).

დარბაზის ტიპის ნაგებობები ფართოდ იყო გავრცელებული ინდოეთიდან ეგეოსის ქვეყნებამდე.

ჯავახეთში ასევე გვხვდება საკულტო დანიშნულების მქონე მეგალითური კულტურის ძეგლები — მენჰირები.

დარბაზი დიღომში. ანაზომი ნ. სევეროვის



უძველესი ციხე-ქალაქები

ადრე ხნის განმავლობაში, ბერძენი და რომაელი ავტორების წერილობითი წყაროების გარდა, ქართული არქიტექტურის შესახებ რეალური ცნობები არ მოგვეპოვებოდა. მხოლოდ ადრე შუა საუკუნეებში აგებული ტაძრები მიუთითებდა, რომ საქართველოში სამშენებლო საქმე საკმაოდ განვითარებული იყო – შემორჩენილი არქიტექტურის ნიმუშების აგება მხოლოდ წინა ეპოქებში ჩამოყალიბებული მაღალი სამშენებლო ტრადიციის საფუძველზე იქნებოდა შესაძლებელი.

საქართველოში ციხე-ქალაქების წარმოქმნა ნავარაუდევია ძვ. წ. II ათასწლეულის დასრულებამდე, გვიან ბრინჯაოსა და ადრე რკინის ხანაში. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მაკედონელმა (ძვ. წ. IV) „ქართლსა შინა პოვნა ციხენი მაგარნი და ქალაქნი ძლიერნი“. ეს ქალაქებია: წუნდა, ოძრახე, თუხარისი, ურბნისი, კასპი, უფლისციხე, „ქალაქი დიდი მცხეთა“ (და უბანნი მისნი სარკინე, ციხე-დიდი და ზანავი), რუსთავი, სამშვილდე, ხუნანი, კახეთისა ქალაქნი და სხვები. ადრინდელი ცნობებია შემონახული დიოსკურიის, სებასტოპოლისის, „დიდი ბიჭვინტის“, ნოქალაქევის, შორაპნის, ფოთის, ქუთაისის, ვარდციხის, გონიო-აფსაროსის და სხვათა შესახებ.

აბულის ციკლოპური ციხე. ჯავახეთი. ძვ. წ. II–I ათასწლეული

არმაზის ციხე. გეგმა



არმაზისხევის აბანო II–III სს. გეგმა

არმაზის ციხე

მცხეთის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, გათხრების შედეგად აღმოჩნდა არმაზის ციხე (ციხის ტერიტორია მოიცავს 30 ჰექტარს), რომლის მშენებლობა მიეკუთვნება ძვ. წ. I საუკუნის ბოლო წლებს. არმაზის ციხე მაღლობის რთულ რელიეფს მისდევს. ციხის კედლები, სიგანით 2-6 მეტრი, პირდაპირ კლდეზე, ფუნდამენტის გარეშეა ამოყვანილი. კედლებში ჩართულია მართკუთხა ფორმის კოშკები და კონტრფორსები. კედლის ქვედა ნაწილი ამოყვანილია კარგად გათლილი ქვის კვადრებით. ქვის წყობა მშრალია, მხოლოდ ალაგ-ალაგ ქვის ფილები დამაგრებულია რკინის სამაგრებით. კედლის ზედა ნაწილი, რომელიც სიმაღლეში 6 მეტრს აღწევს, თიხითაა შელესილი.

სამშენებლო ტექნოლოგიით არმაზის ციხე წააგავს წინა აზიის, კერძოდ, ურარტუსა და აქემენიდების ირანის ციხესიმაგრეებს.

არმაზისხევში აღმოჩენილი იყო ქართლის მმართველის სასახლის ნანგრევები (ნაგებობა 6 თავისუფლად მდგომი სვეტით), რომაული ტიპის აბანოები და სხვა ნაგებობათა ნანგრევები, აგრეთვე, მმართველთა მეტად მდიდრული სამარხები.

არმაზის აბანო

არმაზში 1930-იან წლებში აღმოაჩინეს აბანოს ნანგრევები, რომელიც 2-3 საუკუნეებს მიეკუთვნება. აბანო პიტიახშთა საცხოვრებელი კომპლექსის ნაწილი იყო. ეს იყო 2-სართულიანი ნაგებობა. მისი ქვედა ნაწილი აშენებული იყო რიყის ქვით, ზედა ნაწილი კი – ნატეხი ქვით და შემტკიცებული კირის ხსნარით. აბანოს ზედა სართული 5 განყოფილებიანია – გასახდელი, ცივი, თბილი, ცხელი აბანოები და საცეცხლე განყოფილება. აბანოში წყალი არმაზისხევიდან კერამიკული ფილების საშუალებით შედიოდა. მოხმარებული წყალი მილებითვე გადიოდა მტკვარში. ცხელი და ცივი აბანოების ქვეშ მოწყობილი იყო გათბობის სისტემა – კალორიფერი, რომელსაც მართკუთხა და წრიული ფორმის სვეტები გააჩნდა. სადგომებში საცეცხლე განყოფილებიდან შემოდიოდა ცხელი ჰაერი. ზემოდან ეს სადგომები ჭერმეტულად იყო დახურული სვეტებზე დაყრდნობილი ფილებით. აბანოს ცალკეული ნაწილის შიდა კედლები შელესილი იყო ცეცხლგამძლე ხსნარით. მსგავსი აბანოები არსებობდა წინა აზიაში, სადაც ფართოდ იყო გავრცელებული „სვეტებიანი“ აბანოები.

დედოფლის მინდორი. სატაძრო კომპლექსი. ძვ წ. II ს-ის მიწურული

დედოფლის მინდორი

მნიშვნელოვანია ქარელის რაიონში, მდინარეების – აღმოსავლეთ და დასავლეთ ფრონეს – შორის დედოფლის მინდორზე აღმოჩენილი სატაძრო კომპლექსი, რომლის მშენებლობა ძვ. წ. II საუკუნის მიწურულს განეკუთვნება. ანსამბლის ფართობია 6 ჰექტარი და შედგება 8 ტაძრის, 2 პროპილეების და მთელი რიგი სადგომებისაგან. ტაძრების განლაგება მოწმობს, რომ ანსამბლი გააზრებული იყო არქიტექტორის მიერ, როგორც მხატვრულად ერთიანი კომპოზიცია. ტაძრებს გეგმაში კვადრატული ფორმა გააჩნია და ცენტრში 4 თავისუფლად მდგომი სვეტი. გეგმით და პროპორციებით ეს ტაძრები სიახლოვეს ამჟღავნებენ აღმოსავლეთში გავრცელებულ ცეცხლის ტაძრებთან. დედოფლის მინდვრის ანსამბლის აღმოჩენამდე საქართველოში საკულტო არქიტექტურის შესახებ კონკრეტული ცნობები არ მოგვეპოვებოდა.

კაპიტელი. დედოფლის მინდორი

ვანი

მდიდრული მასალა აღმოჩნდა იმერეთში, მდინარე სულორის ნაპირას, ქალაქ ვანის არქეოლოგიური გათხრების შედეგად. ანტიკურ ხანაში აქ მდებარეობდა საკმაოდ განვითარებული ქალაქი, რომელმაც თავის აყვავებას ძვ. წ. III-I საუკუნეებში მიაღწია. ყველაზე ადრეული ფენები ძვ. წ. VIII-VI საუკუნეებს მიეკუთვნება. ეს იყო კოლხეთის სამეფოს ერთ-ერთი ადმინისტრაციული ცენტრი, რომელსაც აქტიური სავაჭრო კავშირი ჰქონდა ბერძნულ სამყაროსთან. აქ აღმოჩენილია ქალაქის კედლის ნაშთები, ჭიშკარი, წრიული ტაძარი, შვიდსაფეხურიანი საკურთხეველი და სხვა საკულტო და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობები.

უფლისციხე. ძვ წ. IV–III სს.

საცურაო აუზი. ძალისის ნაქალაქარი

უფლისციხე

უმნიშვნელოვანეს ძეგლს წარმოადგენს კლდეში ნაკვეთი ქალაქი უფლისციხე, რომელიც ქალაქ გორის მახლობლად, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. ქალაქის ძირითადი სამშენებლო პერიოდი ძვ. წ. IV-III საუკუნეებით განისაზღვრება, თუმცა შემდგომ ეპოქებშიც არსებობდა და ვითარდებოდა. შუა საუკუნეებში (XVIII ს-მდე) უფლისციხე მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. უფლისციხის ნაქალაქარი ქართულ ხუროთმოძღვრებაში ერთადერთი ძეგლია, რომელსაც შენარჩუნებული აქვს ურბანული სტრუქტურა. აქ ნათლად წარმოჩნდება საინჟინრო ტექნოლოგიების მაღალი დონე. ქალაქი, რომელიც გაშენებულია ტერასებად, რამდენიმე უბნისგან შედგება. უფლისციხეში ქალაქისათვის აუცილებელი ყველა სტრუქტურული ელემენტი გვხვდება – გზები და მოედნები, გვირაბები, წყალსადენი და საკანალიზაციო სისტემები, საფორტიფიკაციო, საერო და საკულტო ნაგებობები. მთელი რიგი დარბაზებისა, რომლებიც ადრეულ ნაგებობათა რიცხვს მიეკუთვნება, რომაული არქიტექტურის ფორმების ათვისებაზე მიუთითებს. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს დიდი დარბაზი, რომლის კამარა ამოკვეთილია კლდეში და დამუშავებულია 8-ნახნაგოვანი კესონებით.

ძალისა

ძალისის არქიტექტურული კომპლექსი (ძვ. წ. II-ახ. წ. VIII) მდებარეობს ქართლში, მუხრანის ველზე, მდინარე ნარეკვავის ორივე ნაპირზე. ძალისის ნაქალაქარი ახ. წ. I საუკუნის იბერიაში საკმაოდ განვითარებული საქალაქო ცხოვრების მაჩვენებელია.

ნაქალაქარზე აღმოჩენილია წინასწარი გეგმის მიხედვით შექმნილი აგურის ფილებით შემკული ურთიერთგადამკვეთი ქუჩები და მოედნები, მოზაიკით შემკული საზოგადოებრივი და საცხოვრებელი, ასევე საკულტო ნაგებობები, აბანოები; წყალსადენი და საკანალიზაციო, ასევე ცენტრალური გათბობის სისტემის ნაშთები (სავარაუდოდ, ახ. წ. II-III).

აღსანიშნავია ნაქალაქარზე აღმოჩენილი საცურაო აუზი (39,6 მ x 11,5 მ.), რომელიც საქართველოსთვის სრულიად უნიკალური ნაგებობაა.

ნაქალაქარის ტერიტორიაზე 1971-1982 წლებში წარმოებული გათხრების შედეგად დადგინდა, რომ აქ საკმაოდ ძლიერი დასახლება არსებობდა ძვ. წ. I საუკუნეში. ამ დროის ნაგებობათა ნაშთები მოქცეულია ტაძარ-სასახლისა და აბანოს კომპლექსის ქვეშ.

სამშენებლო მასალა

ჩვენამდე მოღწეული უძველესი არქიტექტურული ნაგებობები მოწმობს, რომ საქართველოში სამშენებლო მასალად ქვას, ხეს, თიხას იყენებდნენ. შემდგომ საუკუნეებში კი საქართველოში ძირითად სამშენებლო მასალად ქვა მკვიდრდება. მნიშვნელოვანი ევოლუცია განიცადა აგრეთვე თვით სამშენებლო ტექნოლოგიამ დაწყებული რიყის და ნატეხი ქვის მშრალი წყობიდან, ქვის თლილი კვადრების სწორ წყობამდე. ამ კვადრების დასამაგრებლად დასაწყისში მერცხლის კუდის ფორმის რკინის სამაგრებს იყენებდნენ, მოგვიანებით კი, ახალი წელთაღრიცხვის დასაწყისში, კირქვის ხსნარს.

მერცხლის კუდის ფორმის რკინის სამაგრი. არმაზის ციხე

ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრება

საქართველოში IV საუკუნეში სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოცხადდა. ქრისტიანულმა რელიგიამ ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება განსაზღვრა, რაც კულტურის განვითარების თავისებურების საფუძველი გახდა. ქართულმა არქიტექტურამ და მასთან ერთად სახვითმა ხელოვნებამ განვითარების რამდენიმე პერიოდი განვლო.

პერიოდიზაცია

I. ადრეული შუა საუკუნეების არქიტექტურა: IV-VII საუკუნეები. VI საუკუნის ბოლო და VII საუკუნის დასაწყისი არქიტექტურის განვითარების „კლასიკურ“ ხანადაა მიჩნეული;

II. „გარდამავალი“ ხანის არქიტექტურა: VII საუკუნის მეორე ნახევარი – X საუკუნის პირველი ნახევარი;

III. განვითარებული შუა საუკუნეების არქიტექტურა: X საუკუნის მეორე ნახევარი – XIII-XIV საუკუნეების მიჯნა;

IV. გვიანი შუა საუკუნეების არქიტექტურა: XIV-XVIII საუკუნეები;

V. „ახალი“ ხანის არქიტექტურა: XIX-XX საუკუნეები.



ანჩისხატი VI ს.

კარის ლუნეტი. ანჩისხატი. დასავლეთი ფასადი

IV-VII საუკუნეების ხუროთმოძღვრება

ქრისტიანულმა რელიგიამ ხუროთმოძღვრების წინაშე ახალი ამოცანა ნამოჭრა: უნდა შექმნილიყო შენობა, რომელიც ბევრ მლოცველს დაიტევდა და რომელშიც შესაძლებელი გახდებოდა გარკვეული რიტუალის ჩატარება. სრულიად გასაგებია, რომ ეს ახალი ამოცანა ერთბაშად ვერ იქნებოდა გადაწყვეტილი. ცნობილია, რომ დასაწყისში მლოცველები ეკლესიის გარეთ იდგნენ, რადგან ეკლესიები დიდი ზომით არ გამოირჩეოდა. ადრეული ტაძრები სინამდვილეში მხოლოდ მინიატიურული სამლოცველოებია (ჭერემის კვადრატი, IV). საეკლესიო ნაგებობა უფრო ტევადი მოგვიანებით ხდება. V საუკუნის ბოლოდან დიდი ტაძრების მშენებლობა დაიწყო.

ქრისტიანული რელიგიის მიღების შემდეგ საქართველომ არ გაწყვიტა კავშირი ნინა აზიის ქვეყნებთან. თუმცა, ამიერიდან, უფრო მჭიდროდ დაუკავშირდა დასავლეთის კულტურას.

ქართული კულტურის განვითარებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კონტაქტებს ბიზანტიასთან, ასევე სირიასთან, პალესტინასთან და მცირე აზიასთან. აღსანიშნავია, რომ V საუკუნეში სირიასა და პალესტინაში დაარსდა ქართული მონასტრები. მოგვიანებით ქართული მონასტრები არსებობენ უკვე საბერძნეთსა და სინას მთაზე.

როგორც ცნობილია, ევროპასა და წინა აღმოსავლეთში, ადრექრისტიანულ ხანაში, უმთავრესად, გავრცელებული იყო ნაგებობების ორი ტიპი: ბაზილიკა, რომელიც წარმოადგენდა წაგრძელებულ უგუმბათო ან გუმბათიან შენობას და ცენტრული ნაგებობა (წრიული, მრავალწახნაგა, უმეტეს შემთხვევაში, რვაწახნაგა და ჯვრის ფორმის), რომელიც ყოველთვის გუმბათითაა დაგვირგვინებული (მსგავსი ნაგებობები მემკვიდრეობით იყო მიღებული წინაქრისტიანული რომიდან).

საქართველოში საკულტო ქრისტიანულ არქიტექტურაში ტაძრების ორივე ტიპს ვხვდებით. ორივე ტიპის ნაგებობებს ერთი და იგივე ფუნქცია გააჩნია – წარმოადგენს მლოცველთა შეკრების და საკულტო რიტუალის ჩატარების ადგილს. თუმცა, საქართველოში ფართო გავრცელება პოვა გუმბათოვანი არქიტიტექტურის ტიპმა, რაც აქ ქრისტიანობის გავრცელებამდე ბევრად ადრე შემუშავებულმა „დარბაზის“ ტიპის საცხოვრებელი სახლის თავისებურებამ განსაზღვრა – გუმბათით დაგვირგვინებული კვადრატი აქ ტრადიციული იყო.

ჭერემის კვადრატი



თბილისის სიონი. VI-XIX სს.

ქართული გუმბათოვანი ტაძრების ძირითად ბირთვს, მცირე გამონაკლისებით, წარმოადგენს კვადრატი, რომელზედაც აღმართულია გუმბათი. კვადრატის გარშემო ვითარდება ტაძრის ჯვრისებრი გეგმა. კვადრატზე დამყარებული გუმბათისთვის ანალოგია მოგვეპოვება წინა აღმოსავლეთის ძველ ხუროთმოძღვრებაში (მაგ. სასანიანთა სასახლეები ირანში), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ გუმბათოვანი ტიპის ტაძრებს განვითარებისთვის საქართველოში ნიადაგი შეუქმნა ქართული ხალხური არქიტექტურის ტრადიციებმა, კერძოდ, გლეხური „დარბაზის“ ტიპის საცხოვრებელი სახლის არქიტექტურამ. რაც შეეხება ბაზილიკას, იგი საქართველოში ქრისტიანულ რელიგიასთან ერთად გავრცელდა და უცხო, ახალ თემას წარმოადგენდა. ბაზილიკამ ვერ პოვა საქართველოში ისეთი განვითარება, როგორიც ჯვარ–გუმბათიანი ტიპის ნაგებობებმა (ბაზილიკის თემა საქართველოში არსებობს X საუკუნემდე, ხოლო შემდგომ ხანაში იშვიათად, ცალკეული მაგალითების სახით გვხვდება).

ბაზილიკის ხუროთმოძღვრული ტიპი

ბაზილიკის ტიპის ეკლესიას, როგორც ცნობილია, ახასიათებს შიდა სივრცის ნავებად დაყოფა სვეტების საშუალებით. ცენტრალური ნავი გვერდითა ნავებს აღემატება, როგორც სიგანით, ასევე – სიმაღლით. შიდა სივრცის ასეთი გადაწყვეტა ნათლად იკითხება გარედანაც. ცენტრალური ნავი გადახურულია ორქანობა, გვერდითა ნავები კი ცალქანობა სახურავით. ბაზილიკისთვის დამახასიათებელია აგრეთვე სიგრძის ღერძის ხაზგასმა, მისწრაფება აღმოსავლეთით, საკურთხევლისკენ. ეს მიმართულება მით უფრო ხაზგასმულია იმით, რომ ბაზილიკებში მთავარი შესასვლელი გაჭრილია დასავლეთ ფასადზე. ბაზილიკური ტიპის ტაძრები გვხვდება ძველ რომში, ადრექრისტიანულ ხანაში, ასევე ქრისტიანულ აღმოსავლეთში (სირიაში).

ცალქანობა სახურავი

ნეკრესის ბაზილიკა. ნ. სევეროვის რესტავრაცია.
ნეკრესის მონასტერში, სხვა ნაგებობათა შორის დგას პატარა ეკლესია, რომელსაც მკვლევარნი IV საუკუნეს მიაკუთვნებენ. ნეკრესი ნატეხი ქვით არის ნაშენები. წარმოადგენს სამნავიან ეკლესიას. იგი აგებულია საგანგებოდ ამოშენებულ სუბსტრუქციაზე. სუბსტრუქციაში მოთავსებული იყო კრიპტა. ნაგებობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი სიგანე მეტია სიგრძეზე, მაშინ, როდესაც ნამდვილ ბაზილიკაში პირიქით უნდა იყოს. ნავები ერთმანეთს თითო გახსნილი თაღით უკავშირდება. გვერდით ნავებს გარე კედლებშიც ჰქონიათ ღია თაღები. ამგვარად, ნაგებობა გამჭოლ ფანჩატურს წაგავდა და მლოცველებს, რომელნიც გარეთ იდგნენ (ტაძარი ვერ იტევდა ბევრ ადამიანს), შეეძლოთ წირვა მოესმინათ.



ძველი შუამთა. იზომეტრია.
V საუკუნეს მიეკუთვნება კახეთში, ძველი შუამთის მონასტრის მცირე ეკლესია. ეს ეკლესია ბაზილიკის ტიპის ნაგებობის განვითარების შემდგომ საფეხურს გვიჩვენებს. აქ უკვე ხაზგასმულია სიგრძის ღერძი.



ორქანობა სახურავი

შვერილი აფსიდა

ბოლნისის სიონი. გეგმა და აქსონომეტრიული განაკვეთი. ც. გაბაშვილის ანაზომი

ბოლნისის სიონი. აღმოსავლეთი ფასადი

ბოლნისის სიონი

საქართველოში თანდათან მკვიდრდება ბაზილიკის თემა, მაგრამ მისი არსი ჯერ კიდევ არ არის სრულად გაგებული. მხოლოდ V საუკუნის მიწურულს იგება კლასიკური ბაზილიკური ტიპის ნაგებობები, თუმცა, ისინიც თავისებური გადაწყვეტით გამოირჩევა. ამ ნაგებობათა შორის, პირველ რიგში, აღსანიშნავია ბოლნისის სიონი (478-493). იგი მდებარეობს ქვემო ქართლში, ბოლნისის რაიონში, მდინარე ფოლადაურის ნაპირას. ტაძარი წარმოადგენს საინტერესო ნიმუშს, რომელიც მოწმობს, თუ როგორ აითვისა და თავისებურად გადაამუშავა ქართველმა ხუროთმოძღვარმა მისთვის უცხო თემა – ბაზილიკური ტიპის ნაგებობა.

ბოლნისის სიონი . აღმოსავლეთის ფასადის წარწერა

ბოლნისის სიონი წარმოადგენს სამნავიან ბაზილიკას, აღმოსავლეთ ფასადზე შვერილი ნახევარწრიული აფსიდით. კლასიკური ბაზილიკებისგან განსხვავებით, შიდა სივრცის განაწილება ზუსტ ანარეკლს არ პოულობს გარე მასების გადაწყვეტაში — სამივე ნავი მოქცეულია ერთი, ორქანობა სახურავის ქვეშ. ბაზილიკის ფორმა კი გარედან შენარჩუნებულია სამხრეთით და ჩრდილოეთით მიდგმული კარიბჭით, სანათლავით (სამხრეთის ფასადი) და ღია თაღოვანი გალერეით, რომელიც ამკობდა ჩრდილოეთ ფასადს. მინამშენები გადახურული იყო ერთქანობა სახურავით, სამხრეთ გალერეას ჰქონდა საკურთხეველი. სანათლავი, რომელსაც აღმოსავლეთით და დასავლეთით თითო–თითო ნახევარწრიული აფსიდა გაეხნდა, უშუალოდ უერთდებოდა ტაძრის შიდა სივრცეს. ტაძარში შესასვლელი იყო სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. ამგვარად, ტაძრის შიდა სივრცის აღქმა ხდებოდა არა დასავლეთიდან, სიგრძივი ღერძის გასწვრივ, როგორც ეს დამახასიათებელია ბაზილიკებისთვის, არამედ — გვერდიდან. შიდა სივრცის ასეთი აღქმა ენათესავება სივრცის აღქმას გუმბათოვან ტაძრებში. ამგვარად, როგორც შიდა სივრცის, ასევე გარე მასების გადაწყვეტაში შეიმჩნევა ბაზილიკის თემის თავისებური ინტერპრეტაცია. შიდა სივრცე დანაწევრებულია სვეტების ხუთი წყვილით, სვეტები გეგმაში ჯვრული ფორმისაა. სვეტებისა და პილასტრების კაპიტელები რელიეფური გამოსახულებებითაა შემკული.

„კლასიკური“ ბაზილიკები

ბოლნისის სიონის შემდეგ საქართველოში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ბაზილიკური ტიპის ეკლესია აიგო. მათ შორის აღსანიშნავია ურბნისის ტაძარი, რომელიც მდებარეობს ქართლში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე. აქ უფრო მკვეთრად არის გამოვლენილი ბაზილიკისთვის დამახასიათებელი სიგრძივი ღერძი (თუ ბოლნისის სიგრძის და სიგანის შეფარდება უდრის 1:1,8-ს, ურბნისში უდრის – 1:2,26-ს). V-VI საუკუნეების ბაზილიკური ტიპის ძეგლებს მიეკუთვნებოდა ხაშმის სამება, ურიათუბანი (ორივე მდებარეობს კახეთში), ბიჭვინთის ბაზილიკა, განთიადი (აფხაზეთი), წყაროსთავი – ისტორიულ ჯავახეთში, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე, ასევე ერუშეთი, ურთა (ტაო-კლარჯეთი), ნოქალაქევი, სეფიეთი (სამეგრელო), ციხისძირი (აჭარა), რკონი (ქართლი), ანჩისხატის ტაძარი, რომელიც თბილისის ძველ უბანში მდებარეობს. ბაზილიკური ტიპის ტაძრები საქართველოში X საუკუნემდე იგება. ამ ეპოქაში შექმნილ ნიმუშთა შორის უმნიშვნელოვანესია ოთხთა ეკლესია და პარხალი (ორივე ტაო-კლარჯეთი). ეს ტაძრები ბაზილიკის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს და X საუკუნისათვის დამახასიათებელი მხატვრული ნიშნებით ხასიათდება.

ვაზისუბანი (ურიათუბანი) VI ს.



ოთხთა ეკლესია. აღმოსავლეთი ფასადი. ან. კალგინის ანაზომი. X ს.

ურბნისი. ინტერიერი. ცენტრალური ნავის კამარული გადახურვა VI ს.



ვაზისუბანი (ურიათუბანი) გეგმა



ოთხთა ეკლესია. გეგმა



ზეგანის სამეკლესიანი ბაზილიკა. გეგმა. VI–VII სს.

სამეკლესიანი ბაზილიკა

აღსანიშნავია, რომ საქართველოში შემუშავდა ბაზილიკის თავისებური ტიპი ე.წ. სამეკლესიანი ბაზილიკა, რომელშიც ნავები განცალკევებულ სადგომებს წარმოადგენენ (შიგნით ნავები გამოიყოფა არა სვეტებით, არამედ კედლებით), გარედან კი ნაგებობას ბაზილიკის ფორმა გაჰქონა.

ამ ტიპის ეკლესიების პირველი ნიმუშები VI საუკუნის შუა წლებში გვხვდება. მათ წარმოშობას მკვლევარნი ხსნიან იმით, რომ მორწმუნეებს სურდათ, დღის განმავლობაში რამდენიმეჯერ ჩაეტარებინათ წირვა და ყოველი წირვის დროს საკუთარი საკურთხეველი ჰქონოდათ. უძველესი ნიმუშები წარმოადგენს 3 წაგრძელებულ ნავს, რომლებიც ერთმანეთის პარალელურად არის გაშლილი და ერთმანეთს კარის საშუალებით უკავშირდება. ცენტრალური ნავი უფრო მაღალია და, ამიტომ გარედან ეკლესია ბაზილიკური ჭრილისაა. შემდგომში, ღვთისმსახურების ახალმა პრაქტიკამ მოითხოვა სადიაკვნესა და სამკვეთლოს (პასტოფორიუმების) არსებობა ტაძარში, რის შემდეგაც ნაგებობების ეს ტიპი შედარებით გართულდა.

VI-VII საუკუნის სამეკლესიანი ბაზილიკის ტიპის ტაძრებია ზეგანი, ნეკრესი (კახეთი), ქვემო ბოლნისი, გვიან ხანებში ძლიერად გადაკეთებული შუა საუკუნეების ეკლესია დმანისის ნაქალაქარში, ვანათი (ქვემო ქართლი), ძველი გაგრა (VI), აბაანთა (VI), მიუსერა (VI-VII), ქიაჩი (VIII–IX) (აფხაზეთი).

ორნავიანი ეკლესიები

საქართველოში გვხვდება ბაზილიკის კიდევ ერთი ტიპი – ორნავიანი ეკლესიები, რომლებიც, ბაზილიკის კლასიკური ნიმუშების მსგავსად, VI საუკუნიდან X საუკუნის ჩათვლით იგება. ამ ტიპის ტაძრებში ცენტრალური და გვერდითი ნავი თაღების საშუალებით უერთდება ერთმანეთს. მსგავსი ეკლესიები შიდა სივრცისა და გარე მასების ასიმეტრიულობით ხასიათდება. მსგავსი ტიპის ნაგებობები გვხვდება ეგვიპტეში, მცირე აზიაში, კაბადოკიასა და მესოპოტამიაში. ამ ტიპის ნაგებობებს განეკუთვნება შალაურის (VI), ტაბაკინის (VI-VII), ქილდას (X) ტაძრები.



ტაბაკინი. გეგმა. VI–VII სს.

გუდარეხი (1223–1245)

დარბაზული ეკლესია

დარბაზული ეკლესია წარმოადგენს საკულტო ნაგებობის მარტივ ტიპს. იგი გეგმაში წაგრძელებული მართკუთხედია, რომელსაც აღმოსავლეთით ნახევარწრიული აფსიდა გააჩნია. აფსიდა ჩაწერილია სწორკუთხედის საზღვრებში, მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში – შვერილი. სახურავი ორქანობაა. შესასვლელი ამ ეკლესიებში დასავლეთით ან სამხრეთით არის მოთავსებული, თუ ეკლესია მოზრდილი ზომისაა, მაშინ – ორივე მხარეს. შიდა სივრცეში გრძივი კედლები უმეტესად გაფორმებულია პილასტრებითა და თაღედით, რაც დასავლეთ-აღმოსავლეთის სიგრძივ ღერძს აქცენტირებს და რიტმულ დინამიკას ქმნის. ამგვარად, დარბაზული ეკლესიები ბაზილიკის მხატვრულ თავისებურებასთან სიახლოვეს ამჟღავნებენ. ეს მარტივი გეგმის ეკლესია მეტად გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს საქართველოში, განსაკუთრებით, მთიან რეგიონებში. მისი ნიმუშები ქრისტიანული არქიტექტურის განვითარების უადრეს ეტაპზე ჩნდება და XIX საუკუნეშიც იქმნება. ადრეულ ხანაში მათი მხატვრული სახე განისაზღვრება პროპორციების ჰარმონიულობით და კედლების ქვის წყობის მომხიბვლელობით. ამ თვალსაზრისით, შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ოლთისის პატარა ეკლესია წალკაში, გუდარეხის ეკლესია, ასევე, ორი სამლოცველო კაცხის სვეტზე. ეს ორი სამლოცველო საინტერესოა თავისი სრულიად უჩვეულო მდებარეობით – აგებულია 40 მ. კლდის სვეტის ბაქანზე. დარბაზული ტაძრის საინტერესო ნიმუშებია: აზმანა (VII ს-ის მეორე ნახევარი), დუმეილა (VIII-IX), ბუზავრეთი (X ს-ის დასაწყისი) ჯავახეთი).

ოლთისი. გეგმა. VI–VII სს.

თარინგზელის ეკლესია. სოფელი მაცხვარიში. შუა საუკუნეები

სვანეთის ეკლესიები

დარბაზული ტიპის ეკლესიები იგებოდა სვანეთში, რომლებიც ასეთივე სიმარტივით, ლაკონიურობითა და ზომების სიმცირით გამოირჩევა. თუმცა ამ ეკლესიათა მოხატულობა ტაძრის შიდა სივრცეს უჩვეულო, მონუმენტურ ხასიათს სძენს. სვანური ეკლესიისათვის დამახასიათებელია ფასადის მხატვრობა. ფასადის მოხატვის ტრადიცია მეტად იშვიათი მოვლენაა მსოფლიო ხელოვნების ისტორიაში და მხოლოდ ბალკანეთის ქვეყნების გვიანი ხანის ძეგლებზე გვხვდება. სვანეთში კი უფრო ადრეული ხანის X-XII საუკუნეების ეკლესიათა – იფხის, ადიშის, იფრარის, ნაკიფარის და სხვ. ფასადებია მოხატული.

გიორგიწმინდა. ნიკო ჩუბინაშვილის მიხედვით VI–VII სს.

დმანისის სტელა. V–VI სს.

ბრდაძორის სტელა VI ს.

სტელები

აღსანიშნავია, რომ დარბაზულ ეკლესიებთან, ხშირ შემთხვევაში, სტელები, ქვაჯვარებია აღმართული. საფიქრებელია, რომ ეს ოთხწახნაგოვანი, ერთიდან ორ მეტრამდე სიმაღლის სტელები, რომლებიც სპეციალურ ქვისავე საფეხურზე იყო დამყარებული, სალოცავის მაგივრობას ასრულებდა ადრექრისტიანული ხანის პირველ ეტაპზე. სტელები შემკულია რელიეფებით, რომელთა შორის გვხვდება წმინდანთა და ჯვრის გამოსახულებები, სიუჟეტური კომპოზიციები, ორნამენტები. სტელების საინტერესო ნიმუშებია – ხანდისის სტელა (VI), დავათის სტელა (VI), ბრდაძორი (VI-VII) და მრავალი სხვა.

VI–VII საუკუნეების ხუროთმოძღვრება

VI საუკუნის მეორე ნახევრიდან საკულტო არქიტექტურის ძირითად თემად ჯვარგუმბათოვანი ეკლესია იქცა, რომელმაც მრავალი საუკუნის მანძილზე თავისებური განვითარება პოვა. VI-VII საუკუნეებში გუმბათოვანი ეკლესიის რამდენიმე ტიპი არსებობს: ტეტრაკონქი, თავისუფალი ჯვრის ტიპი და ჩაწერილი ჯვრის ტიპი.

ტეტრაკონქი

ადრე შუა საუკუნეებში საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ევოლუცია ტეტრაკონქის არქიტექტურულმა ტიპმა განიცადა.

ტეტრაკონქის ტიპის ნაგებობას გეგმაში საფუძვლად ჯვრის ფორმა უდევს, რომლის ოთხივე მკლავი აფსიდით ბოლოვდება. ტაძრის ძირითად ელემენტს ცენტრალური კვადრატი შეადგენს, რომელზეც გუმბათია აღმართული. ტეტრაკონქი, რომელიც შიგნიდან და გარედან ნახევარწრეებით მთავრდება, საქართველოში მხოლოდ ოთხია ცნობილი – გავაზი, ქაშვეთი, სუხბეური და ნოჯიხევი. ამ ტიპის არქიტექტურულ ნაგებობებს განეკუთვნება მანგლისის ტაძარიც, თუმცა გარედან ეს ტაძარი რვაგვერდაა.



ძველი გავაზი. გეგმა. ნ. სევეროვის ანაზომი. VI ს. ტეტრაკონქის ადრეულ ნიმუშს წარმოადგენს ძველი გავაზის ეკლესია, რომელიც გეგმაში ტოლმკლავა ჯვარია.





ნინოწმინდა. გეგმა და განაკვეთი. ნ. სევეროვის მიხედვით. VI ს. ტეტრაკონქის არქიტექტურული ტიპის შემდეგ საფეხურს წარმოადგენს ნინოწმინდის ეკლესია. მასაც გეგმაში საფუძვლად ტეტრაკონქი უდევს, მაგრამ მკლავებს შორის ჩაწერილია დამატებით კიდევ თითო-თითო მცირე ზომის აფსიდა, ე.ი. გუმბათქვეშა კვადრატს მოეჭრა კუთხეები და ოთხ აფსიდს შორის, შენობის დიაგონალურ ღერძებზე, განთავსდა ოთხი მცირე სადგომი, რის გამოც გაფართოვდა ეკლესიის შიდა სივრცე. გაჩნდა 8 გუმბათქვეშა თაღი. ამით გუმბათის დიამეტრის გაზრდის შესაძლებლობა შეიქმნა. დროთა განმავლობაში გუმბათი და შენობის დასავლეთი ნაწილი დაინგრა, მაგრამ ახლაც ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიად შთაბეჭდილებას ახდენდა ეს ნაგებობა, როგორც შიგნით, ასევე გარედან ნათლად გამოვლენილი ნახევარწრიული ფორმებით. ნინოწმინდის საეპისკოპოსო ტაძარი შეიძლება ჩაითვალოს მრავალაფსიდიანი ტაძრების, ასევე იმ ჯგუფის ეკლესიების წინამორბედად, რომელსაც სათავეში ედგა მცხეთის ჯვარი.

ნინოწმინდის ტაძარი. VI ს. სამრეკლო. XVI ს.

მცხეთის ჯვარი

მცხეთის ჯვრის ტაძარი, რომელიც მტკვრისა და არაგვის შესართავის თავზე, მთაზეა აღმართული, 586/7-604/5 წლებში აიგო. ჯვრის ტაძრის ხუროთმოძღვარს რთული ამოცანა უნდა გადაეჭრა, წმინდა ნინოს მიერ ქვის მაღალ კვარცხლბეკზე დადგმული ხის ჯვარი ტაძრის ცენტრში უნდა მოქცეულიყო. ამოცანას ართულებდა ტაძრისათვის განკუთვნილი ფართობის სიმცირე – სამხრეთ-დასავლეთით მთის ციცაბო ფერდი, ჩრდილოეთით კი, იმავე VI საუკუნეში, შედარებით ადრე აგებული ჯვრის მცირე ტაძარი. ხუროთმოძღვარმა სამხრეთ-დასავლეთით ხელოვნული სუბსტრუქცია ამოიყვანა და ტაძრისთვის საკმარისი საფუძველი შექმნა. მან ბუნებრივ ლანდშაფტს ორგანულად მოარგო ჯვრის ტაძარი, რაც ზოგადად ქართული არქიტექტურის დამახასიათებელი ნიშანია. მცხეთის ჯვრის ტაძარი ქართული ხელოვნების და კერძოდ ტეტრაკონქის ტიპის განვითარების უმაღლეს საფეხურს წარმოადგენს. ჯვრის ტაძარი კუთხისოთახებიანი ტეტრაკონქის კლასიკური ნიმუშია. ტაძარს გეგმაში საფუძვლად ჯვრის ფორმა უდევს, რომლის ოთხივე მკლავი აფსიდითაა დაბოლოებული, მათგან დასავლეთის და აღმოსავლეთის აფსიდებს ღრმა ბემები გაეჩინა, რითაც დაგრძელებულია აღმოსავლეთ-დასავლეთი სიგრძის ღერძი. მკლავებს შორის, გუმბათქვეშა კვადრატის კუთხეებში, წრის 3/4 ფორმის ღრმა ნიშებია მოთავსებული, რომლებშიც გვერდითა, ოთხკუთხა ფორმის ოთახებში გასასვლელი კარებია გაჭრილი. მკლავებს შორის მოთავსებული თითო-თითო მართკუთხა ფორმის სადგომი – კუთხის ოთახები, კიდევ ერთი ახალი ელემენტია, რომელიც ჯვრის არქიტექტურაში გვხვდება. გუმბათი, რომელიც ტაძრის ცენტრალურ ნაწილს წარმოადგენს, რვაწახნაგა ყელზეა ამოყვანილი. ტაძრის შიდა სივრცე საოცრად ჰარმონიული და დასრულებულია. ყოველი არქიტექტურული ფორმა ნათლად იკვეთება. ჯვარში არაჩვეულებრივადაა გადაჭრილი არქიტექტურული მასების ორგანული შერწყმის პრობლემა. ჯვრის გარე მასებში სრული ანარეკლი პოვა შიდა სივრცის ორგანიზებამ. შენობის ძირითადი მასები – გუმბათქვეშა კვადრატი, მკლავები, კუთხის ოთახები, თითქოს საფეხურებად ეშვება ჯვრის გუმბათის რვაწახნაგოვანი ყელიდან. ჯვრის მკლავები გაცილებით მაღალია, ვიდრე გვერდითი ოთახები. ჯვრის მკლავები გარედან სამწახნაგოვანი ფორმისაა და გვერდითი ოთახების ბრტყელი ფასადებისაგან გამოყოფილია ნიშების საშუალებით. ტაძარში შესასვლელი სამხრეთით და ჩრდილოეთითაა. ჯვრის ტაძარი აღსანიშნავია იმითაც, რომ აქ უკვე ჩამოყალიბდა ფასადების გაფორმების ერთიანი სისტემა.



იზომეტრია. მცხეთის ჯვარი. თ. ჩიჩუას მიხედვით.

ინტერიერი. მცხეთის ჯვარი



ბანა. გეგმა. ან. კალგინის ანაზომი

ბანა. VII ს.

მცხეთის ჯვრის ტიპის ეკლესიები

VII ს-ში აიგო მცხეთის ჯვრის ანალოგიურ ძეგლთა ჯგუფი, რომლებიც მცხეთის ჯვრის ტიპის ეკლესიების სახელითაა ცნობილი. მათი გეგმა და საერთო გადაწყვეტა უახლოვდება მცხეთის ჯვარს, მაგრამ დეტალებში განსხვავდება მისგან. საინტერესოა, რომ ასეთი ტიპის ძეგლები აშენდა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

ამ ჯგუფის ძეგლთა შორის აღსანიშნავია ატენის სიონი (ქართლში), მარტვილის ტაძარი (სამეგრელო), ძველი შუამთის ეკლესია (კახეთი), ბანას ტაძარი (ტაო-კლარჯეთი), დრანდის ტაძარი (VII-VIII სს. აფხაზეთი).

ბანა

VII საუკუნის შუა წლებში აგებული ბანას ტაძარი ტეტრაკონქის განსხვავებული სახეობაა. ბანას ეკლესიის თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ აქ ჩვენ გვაქვს წრეში ჩახაზული ტეტრაკონქი, ანუ ტაძრის ძირითად, ტეტრაკონქის გეგმას აკრავს წრიული გარშემოსავალი. ტაძარს გამოარჩევს კიდევ ერთი თავისებურება – აფსიდები კედლებით კი არ არის შემოსაზღვრული, არამედ სვეტებზე დაყრდნობილი გამჭოლი თაღებით, რომელთა საშუალებით ტეტრაკონქის სივრცე უერთდება გარშემოსავლის სივრცეს. მსგავსი კომპოზიციური გადაწყვეტა გვხვდება იშხნის ტაძარში, სადაც დღემდე შემორჩენილია VII საუკუნის არქიტექტურული ფრაგმენტი – სვეტებზე დაყრდნობილი თაღედით გახსნილი საკურთხეველი.

მცხეთის ჯვარი. VII ს.



იშხანი. გეგმა და განაკვეთი. ნ. სევეროვის ნახაზი

დრანდა. VII – VIII სს.



სამწევრისი. იზომეტრია. თ. ქარუმიძის ნახაზი

სამწევრისი. VII ს.

თავისუფალი ჯვრის ტიპი

ჯვარ-გუმბათოვან ტაძარს, რომელსაც შიგნიდან და გარედან ჯვრის ფორმა აქვს, თავისუფალი ჯვრის ტიპის („კრუა-ლიბრი“) ტაძარი ეწოდება. ტაძრებს გეგმაში საფუძვლად ხან ტოლმკლავა, ხან კი წაგრძელებული ფორმის ჯვარი უდევს. ჯვრის ორქანობა სახურავით გადახურული მკლავების გადაკვეთაზე აღმართულია გუმბათი. ტაძრის შიდა სივრცეში აფსიდა მხოლოდ ერთ მკლავს აბოლოებს, 3 მკლავი კი სწორკუთხა ფორმისაა.

თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრები მცირე ზომებით, არქიტექტურულ-კონსტრუქციული ფორმების სიმარტივითა და ლაკონიურობით ხასიათდება. ეს არქიტექტურული ტიპი ფართოდ იყო გავრცელებული მთელ ქრისტიანულ სამყაროში, მათ შორის საქართველოშიც. თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრები საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (მთიანი რეგიონების გარდა), V საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, იგებოდა. არსებობს ამ ტიპის ძეგლების ორსართულიანი ნიმუშები (მარტვილის მცირე ტაძარი, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია გელათში). თავისუფალი ჯვრის ტიპის ძეგლებია – ზეგანის წმ. მარინეს ეკლესია (V), ერელაანთ საყდარი (V-VI საუკუნეების მიჯნა), იდლეთის ნათლისმცემელი (VI ს-ის 50-იანი წლები), მეჯვრისხევი (VI ს-ის 50-იანი წლები), შიო მღვიმე (VI ს-ის 60-იანი წლები), სამწევრისი (VII ს-ის შუა წლები), ატენის მცირე ტაძარი (VIII-IX).

იკვი. XI ს.
არსებობს ნახევრად თავისუფალი ჯვრის ტიპის ტაძრებიც, სადაც დასავლეთის მკლავი დამოუკიდებელია, ხოლო დანარჩენი სამივე მკლავი სწორკუთხედშია ჩაწერილი. ამ ტიპის ტაძრებია თელოვანი (VIII–IX სს.), ენირაბათი (X–XI სს.), იკვი (XI ს.), ტყვირი (XV ს.).





ერელაანთ საყდარი. გეგმა. ლ. რჩეულიშვილის და ნ. ჩუბინიშვილის ანაზომი

ერელაანთ საყდარი. V–VI სს.

ქალაქმშენებლობა

საქართველოში, საკულტო არქიტექტურის გარდა, IV საუკუნიდან საფორტიფიკაციო ნაგებობები და ციხე-ქალაქებიც შემოგვრჩა.

II–IV საუკუნეებს მიეკუთვნება ნეკრესის ნაქალაქარის ფარგლებში აღმოჩენილი წინაქრისტიანული ხანის საკულტო (სავარაუდოდ, მაზდეანური) ნაგებობა – ცეცხლის ტაძარი. ტაძარი კვადრატული ფორმისაა (50მx50მ) და სხვადასხვა ფორმის (სწორკუთხა და აფსიდიანი) სადგომებისაგან შედგება. ტაძრის არქიტექტურული კომპოზიცია მკაცრად გაწონასწორებული ხასიათით გამოირჩევა.



ჭერემი. სასახლის გეგმები.
პ. ზაქარაიას ანაზომი. V ს.



უჯარმის ციხე.
ი. ციციშვილის რეკონსტრუქცია

ქალაქი ჭერემი, რომლის დაარსებაც ვახტანგ გორგასალს მიეწერება (სავარაუდოა, რომ ქალაქი ამ ტერიტორიაზე III–IV საუკუნეებშიც არსებობდა), ვრცელ ტერიტორიაზე იყო გაშლილი და ერთმანეთისგან მოშორებით მდებარე უბნებისგან შედგებოდა. ყოველ უბანს საკუთარი ეკლესია გააჩნდა. ნაქალაქარის ტერიტორიაზე შემორჩენილია ვახტანგ გორგასლის სასახლის ნანგრევები. სასახლე აგებულია ქვის კარგად გათლილი კვადრებით, რითაც ენათესავება ვახტანგ გორგასლის მიერვე აგებულ ქალაქ უჯარმას. ვახტანგის სასახლის სიახლოვეს შემორჩენილია ეპისკოპოსის სასახლის სამხრეთი ფასადის ფრაგმენტი, რომელიც IX საუკუნეს მიეკუთვნება.

უჯარმა. სასახლის ნანგრევები. V ს–ის II ნახევარი

უჯარმა

ვახტანგ გორგასლის სახელს უკავშირდება უჯარმის ციხე-ქალაქი, რომელიც აგებულია V საუკუნის ბოლოს, წინასწარ შექმნილი გეგმის მიხედვით. ვახტანგ გორგასალმა საკუთარი რეზიდენცია მცხეთიდან უჯარმაში გადაიტანა და უჯარმა მცირე დროით ქართლის სამეფოს დედაქალაქი გახდა. ქალაქის, რომელიც მცირე მთის ფერდსა და კეხზე მდებარეობდა ზემო და ქვემო ციხეებისგან შედგება. ზემო ციხეში იყო სასახლე – სამსართულიანი ფართო სარკმლებიანი კოშკი, რომელიც ადრე შუა საუკუნეების სასახლის „არქიტექტურულ ტიპს“ წარმოგვიდგენს; ეკლესია, წყლისა და ხორბლის რეზერვუარები და სამეურნეო ნაგებობები. კოშკებით რიტმულად დანაწევრებული ქვემო ციხის კედლები შემოსაზღვრავდა სწორკუთხა ტერიტორიას მთის კალთაზე, რომელიც მდინარე ივრისაკენ ეშვება. მდინარის პირას, გალავნის ცენტრში, მდებარეობს სამსართულიანი კოშკი, რომელიც კარიბჭის ფუნქციას ასრულებს. უჯარმის არქიტექტურა მშენებლობის მაღალი დონით გამოირჩევა და ავლენს ხუროთმოძღვრის მიერ ანტიკური ქალაქმშენებლობისა და ქართული არქიტექტურის ტრადიციების ფლობას.

წრომის ტაძარი

VII საუკუნეს მიეკუთვნება წრომის ტაძარი (626-634) (ქართლი). აქ უკვე შეიმჩნევა ახალი ნიშნები, რომლებიც ქართული საეკლესიო არქიტექტურის მომავალ განვითარებას მოასწავებს. წრომის ტაძარი მიეკუთვნება ე.წ. ჩახაზული ჯვრის ტიპის ტაძრებს. ეს არქიტექტურული ტიპი VII საუკუნეში ყალიბდებოდა ახლო აღმოსავლეთის საკულტო არქიტექტურაში. ტაძარს გეგმაში საფუძვლად ჯვარი უდევს. გუმბათი კედლებს კი არ ეყრდნობა, არამედ ცალკე მდგომ 4 სვეტს. ნახევარწრიული აფსიდა გაჩენია მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავს, დანარჩენი მკლავები სწორკუთხაა. სიგრძის ღერძს ხაზს უსვამს დასავლეთით მიშენებული ნარტექსი. მის ზემოთ მოთავსებულია პატრონიკე. ნარტექსი აწონასწორებს ტაძარს: აღმოსავლეთის მკლავი სხვა მკლავთან შედარებით უფრო წაგრძელებულია ნახევარწრიული აფსიდით, ნარტექსი კი ათანაბრებს დასავლეთის ნაწილის სივრცეს აღმოსავლეთის მკლავის სიგრძესთან. წრომში შეიმჩნევა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რამ, რაც ტაძარს განასხვავებს წინა ხანის ეკლესიებისგან. აფსიდა ჩახაზულია ტაძრის მართკუთხა ფორმაში და მისი მდებარეობა გარედან აღნიშნულია ორივე მხარეს შეჭრილი სამკუთხა ნიშებით, რაც მეტად დამახასიათებელი ხდება ქართული საეკლესიო ძეგლების ფასადების გაფორმებისთვის. ძირითად შთაბეჭდილებას განსაზღვრავს წრომის დახვეწილი პროპორციები, არქიტექტურული მასების ჰარმონიული შეფარდება და თლილი ქვის სწორი წყობის საშუალებით ამოყვანილი ფართოდ გაშლილი კედლები.



წრომი. აქსონომეტრია. ნ. სევეროვის ნახაზი



წრომი. VII ს.

1. წრომში პირველად გვხვდება თავისუფლად მდგომ სვეტებზე დამყარებული გუმბათი;
2. წრომში პირველად გვხვდება დასავლეთით მოთავსებული ნარტექსი და პატრონიკე;
3. წრომში პირველად გვხვდება აღმოსავლეთის ფასადზე აფსიდის ორივე მხარეს შეჭრილი სამკუთხა ნიშები.
4. წრომში პირველადაა გამოყენებული აღმოსავლეთ ფასადზე თაღედი;
5. წრომში პირველად გვხვდება სამხრეთ და ჩრდილოეთ ფასადზე გაჭრილი შესასვლელი პასტოფორიუმებში.
6. წრომში აფსიდის კონქი შემკული იყო მოზაიკით.



წრომი. საკურთხევლის მოზაიკა. ფრაგმენტი

ბიჭვინთა. X ს.

ჩაწერილი ჯვრის ტიპის ტაძრების საინტერესო ნიმუშები VIII-X საუკუნეებში აიგო აფხაზეთში — ბზიფი, ანაკოფია, ლიხნი, მოქვი, ბიჭვინთა. ამ ტაძრებში იგრძნობა ბიზანტიური არქიტექტურის გავლენა და მჭიდრო კავშირი აფხაზეთის და აღმოსავლეთ საქართველოს (კახეთის) ძეგლებს შორის, არქიტექტურული ფორმებით და თავშეკავებული დეკორატიული შემკულობით.

ლიხნის ხუროთმოძღვრული ანსამბლი

გარდამავალი ხანის ხუროთმოძღვრება

VIII-X საუკუნეებში საქართველოს ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი, არქიტექტურაში, მხატვრული ძიების საინტერესო ეპოქა იწყება. მხატვრული შემოქმედების ყველა სფეროში ჩნდება ახალი, შემოქმედებითი თავისუფლების გამომხატველი ნიშნები და ტენდენციები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ორიგინალური და განუმეორებელიც კი დარჩა. არქიტექტურაში ჩნდება ახალი ტიპები, თემები, ტაძრები განსხვავებული გეგმებით, ფორმებით, დეტალებით. მნიშვნელობას იძენს სხვადასხვა არქიტექტურული ტიპისათვის დამახასიათებელი კონსტრუქციული თავისებურებების, ელემენტების კომბინაცია. ზოგიერთმა მათგანმა ფეხი ვერ მოიკიდა და გაქრა, ზოგიერთი მოტივი და კომპოზიცია კი განვითარდა და ახალი სტილის საფუძვლად იქცა.

ამ ეპოქის ერთ-ერთი საინტერესო ძეგლია ვაჩნაძიანის ყველაწმინდა, რომელიც VIII-IX საუკუნეებშია აგებული და „კუპელ-ჰალეს“ ტიპს მიეკუთვნება, სადაც ტაძრის ძირითადი ნაწილი წაგრძელებულ დარბაზს წარმოადგენს, რომლის ცენტრშიც, სიგრძივი კედლების შვერილებზე (პილონი) აღმართულია გუმბათი. დარბაზის გარშემო განლაგებულია გარშემოსავლელი, საკურთხევლის ორივე მხარეს კი გეგმაში ჯვრის ფორმის სამკვეთლო და სადიაკვნეა, ტრიკონქის ტიპისა, ანუ სამ მხარეს აფსიდებით დაბოლოებული. არქიტექტურული გეგმის მსგავსი გადაწყვეტა გვაფიქრებინებს, რომ ვაჩნაძიანის ყველაწმინდა სამეკლესიანი ბაზილიკის თავისებური, გადამუშავებული სახეა. ტრომპების ნაცვლად გუმბათისა და გუმბათქვეშა კვადრატის დამაკავშირებელ კონსტრუქციას აფრები წარმოადგენს. ტაძრის შიდა სივრცე დავიწროვდა და ამაღლდა, სიგრძივი ღერძი მკაფიოდაა ხაზგასმული. „კუპელ ჰალეს“ ტიპის ძეგლები საქართველოში VIII-XVIII საუკუნეებში გვხვდება ისეთი საინტერესო ძეგლების სახით, როგორებიცაა დვანის წმინდა გიორგი (VIII ს. შიდა ქართლი), ფარნაკი (IX ს. ტაო-კლარჯეთი), სოლომონ-ყალა (X ს. კოლა-ოლთისი), კლარჯეთის წყაროსთავი (IX ს. შავშეთ-კლარჯეთი), ნაჯახოვო (X ს. სამეგრელო), ნიქოზის წმინდა მთავარანგელოზი (X ს. შიდა ქართლი), ყინწვისის წმინდა ნიკოლოზი (XIII-XIV ს. ქართლი), ჯვრის მამა (XVI ს. თბილისი), ბოდორნის ღვთისმშობელი (1717 წ. მთიულეთი), მანავის ღვთისმშობელი (1794 წ. კახეთი)



ვაჩნაძიანი. მ. კალაშნიკოვის ანაზომი. VIII-IX სს.

ვაჩნაძიანის ინტერიერი. ნ. სევეროვის ნახატი





გურჯაანის ყველაწმინდა. გეგმა და განაკვეთი. ვლ. წილოსანის ნახაზი

გურჯაანის ყველაწმინდა (VIII ს.) ერთადერთი ორგუმბათიანი ეკლესიაა საქართველოში. გარედან ეკლესიის მასები ბაზილიკის ფორმას ქმნის, გამოყოფილია შუა ნავი, რომელზეც აღმართულია 2, თითქმის ერთნაირი გუმბათი. რვაწახნაგიანი, დაბალი გუმბათის ყელი დამყარებულია მკაფიოდ გამოკვეთილ კვადრატულ საფუძველზე. გუმბათი თავისი ხასიათით სიახლოვეს ამჟღავნებს ჯვრისა და სამწევრისის გუმბათებთან. გვერდითი ნავები ორსართულიანია. ტაძარი, მეორე სართულის დონეზე, სამეკლესიანი ბაზილიკის სტრუქტურას იმეორებს. ტაძარი რიყის მსხვილი ქვითაა ნაშენი, ინტერიერის კედლები და გუმბათები კი – აგურით.

წირქოლის ტაძარი

გარდამავალი ხანის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია წირქოლის ტაძარი, რომელიც მდინარე ქსნის მარჯვენა, მაღალ ნაპირზე, მთის კალთაზე, ციხის მახლობლად მდებარეობს. ეკლესია მიწისძვრამ ძლიერ დააზიანა, თუმცა რესტავრაციის შედეგად ძეგლს პირვანდელი სახე დაუბრუნდა. ქართული ეკლესიებისაგან წირქოლი სრულიად განსხვავებულია. ორკალთიანი სახურავით გადახურული სწორკუთხა ფორმის ნაგებობა ერთი შეხედვით, შესაძლოა, დარბაზული ტიპის ნაგებობად მივიჩნიოთ. მით უფრო, რომ გარედან შენობა სადა არქიტექტურული ელემენტებით ხასიათდება. სინამდვილეში, ტაძარი გაცილებით რთული კონსტრუქციისაა. ტაძრის შიდა სივრცე ორი კვადრატული ნაწილისგან შედგება, რომელიც ერთმანეთს ცენტრში აღმართული სვეტისა და სამხრეთისა და ჩრდილოეთის კედლების შვერილებიდან სვეტზე გადასული თაღოვანი მალების საშუალებით უკავშირდება. ტაძრის ცენტრალური კვადრატული სივრცე სფერული გუმბათითაა გადახურული. ტაძრის დასავლეთი ნაწილი ორი სართულისგან შედგება. საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ წირქოლის გუმბათი, ჩვეული ფორმის გუმბათებისგან განსხვავებით, უყელოა. გუმბათი ტრომპების საშუალებით უშუალოდ ზის კვადრატულ საფუძველზე და გარეთა მასებში გამოვლენილი არ არის. ამგვარად ტაძრის არქიტექტურაში დარღვეულია მეხეთის ჯვრისათვის დამახასიათებელი შესაბამისობა შიგა და გარე სივრცეებს შორის. შესაძლებელია, წირქოლის ხუროთმოძღვრისთვის მნიშვნელოვან საფუძველს ქართული საცხოვრებელი სახლის, „დარბაზის“ არქიტექტურული სტრუქტურა წარმოადგენდა. ფასადთა დამუშავებასა და შენობის პროპორციებში, გარე მასების ლაკონიურობასა და კომპაქტურობაში, ხუროთმოძღვრის ალღო და ნიჭი ვლინდება. შენობის გარეგნობა მხატვრულად მთლიან შთაბეჭდილებას ტოვებს. აღმოსავლეთ ფასადზე ჰორიზონტალური სარტყლით გამოყოფილი და მარტივი კარნიზით დაგვირგვინებული ფრონტონია. ფრონტონის ქვეშ, ფასადის მთელ სიგანეზე, ჰორიზონტალურად გაჭიმული დიდი სწორკუთხა ჩაღრმავებაა, სავარაუდოდ, წარწერისთვის. სამხრეთი ფასადის ცენტრში შესასვლელი ერთმანეთზე გადაბმული, სამი თაღით შემოსაზღვრული, ბრტყელი ნიშებითაა აქცენტირებული. ცენტრალურ თაღში მარტივი ფორმის სწორკუთხა კარია გაჭრილი. ამ თაღების ზემოთ შეწყვილებული სარკმელია, რომელიც წვრილი დეკორატიული თაღების მწკრივით და ცხოველების რელიეფური გამოსახულებებითაა გაფორმებული



წირქოლი. VIII ს.

წირქოლი. გეგმა და იზომეტრია. ვლ. წილოსანის ანაზომი



არმაზის კანკელი

ქსნის არმაზის ტაძრის წარწერაში მისი აგების ზუსტი თარიღი — 864 წელია მითითებული. არმაზის ეკლესიის გუმბათი, წირქოლის მსგავსად, უყელოა, შენობის გარე მასებში არ იკითხება და ორკალთიანი გადახურვის ქვეშაა მოქცეული. გუმბათი აქ 4 თავისუფლად მდგომ სვეტს ეყრდნობა. ტაძარს სამხრეთიდან და დასავლეთიდან დიდი გარშემოსავლელი აქვს. საკურთხეველი ტაძრის ცენტრალური სივრციდან ქვის თაღოვანი კანკელითაა გამიჯნული. კანკელი შემკულია IX საუკუნის მხატვრობით.

გარდამავალ ხანაში გვხვდება ტაძართა ისეთი საინტერესო ჯგუფი, სადაც საკურთხეველი, განსხვავებით ჩვეული ნახევარწრიული ფორმისა, სწორკუთხაა. ამგვარი საკურთხეველი საქართველოში ძირითადად დარბაზულ და სამეკლესიან ბაზილიკებს გააჩნია. აღსანიშნავია, რომ საკურთხევლის სწორკუთხა ფორმა დასრულებულია ტრომპებზე ამოყვანილი კონქისებური გადახურვით. ამ ტიპის ტაძრებია — დვალეთი (VIII–IX სს.), სოფელ ზონკარის ეკლესია (VIII–IX სს.), წმინდა ევსტატეს ეკლესია (VIII–IX სს.), ისროლისხევის ღვთისმშობლის ეკლესია და იქვე, მაცხოვრის ეკლესია (VIII–IX სს.).



ზედაზნის დარბაზული ეკლესია. ნ. ჩუბინაშვილის მიხედვით. VI ს.

ვანთა. ფეოდალის სასახლე. IX ს.

სასახლეები

ქართულ არქიტექტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მეფეთა, ფეოდალთა და ეპისკოპოსთა სასახლეებს. სასახლეების არქიტექტურა ძირითადად IX-X საუკუნეებში ჩამოყალიბდა. სასახლეები გეგმაში გრძივი სწორკუთხა ფორმისაა, ორსართულიანია და აგებულია ანფილადური პრინციპით. პირველი სართული სამეურნეო, სამომხმარებლო ფუნქციას ასრულებდა და მკაცრი და სადა, ლაკონიური ფორმებით გამოირჩევა. მეორე სართული პირველზე გაცილებით მაღალია და უხვადაა განათებული კედლის სიმაღლის თაღოვანი სარკმლებით, რომლებიც კედლის თითქმის მთელ ზედაპირს მოიცავს. ეს არქიტექტურული თავისებურება ქართული სასახლეებისათვის განსაკუთრებულად დამახასიათებელია. სასახლეები უმეტესად შემორჩენილია კახეთში – ნეკრესი, ვანთა, ვაჩნაძიანი, კვეტერა, ასევე შიდა ქართლში – ზემო ნიქოზი და აფხაზეთში – ლიხნი.



ვაჩნაძიანი. ფეოდალის სასახლე. ნ. სევეროვის ნახატი

კვეტერა. მეფის სასახლე. X ს.

ნიქოზის სასახლე. IX–X სს.

ლიხნის სასახლე. შუა საუკუნეები

იყალთოს აკადემია. XI ს-ის დასაწყისი

ლიხნის სასახლის გეგმა. არქიტექტორი ვ. წილოსანი. თ. თოდუა

მრავალაფსიდიანი ტაძრები

გარდამავალი ხანის ბოლოს, X საუკუნეში, საქართველოს სხვადასხვა პროვინციაში გუმბათიანი ტაძრების მანამდე უცნობ ტიპს – მრავალაფსიდიან ტაძრებს ვხვდებით. ეს სახეობა, სავარაუდოდ, ტეტრაკონქის დეკორატიული გადამუშავებისა თუ განვითარების შედეგად შეიძლება მივიჩნიოთ. თუ არ ჩავთვლით ნინოწმინდის ტაძარს (VI), ეს ერთადერთი სახეობაა ქართულ გუმბათიან არქიტექტურაში, სადაც გუმბათი გუმბათქვეშა კვადრატს არ ეყრდნობა. მის საყრდენად დიაგონალურად განლაგებული აფსიდების შვერილი კედლები გამოიყენება. გარედან მრავალაფსიდიანი ტაძრები შედგება ორი, ერთმანეთზე შედგმული წახნაგოვანი ცილინდრისაგან. ქვედა უფრო ფართოა და აფსიდებს შემოსაზღვრავს, ზედა კი გუმბათის ყელს წარმოადგენს. ამ არქიტექტურული ტიპის ცალკეული ნიმუში ინდივიდუალური თავისებურებით გამოირჩევა: გოგიუბაში ექვსივე აფსიდა თანაბარია და გეგმა სრულიად სიმეტრიული. ტაძარი თანაბრად იშლება ცენტრალური ღერძის გარშემო. კიაღლის-ალთისა და ოლთისის ტაძრებში აღმოსავლეთის აფსიდა – საკურთხეველი, გამოყოფილია. ფასადზე აღმოსავლეთის აფსიდა გამოდის საერთო აბრისიდან და ამგვარად, შიდა სივრცეშიც გარკვეული ლოგიკური მახვილია დასმული. ბოჭორმის ციხის ეკლესიაში ბემები მკაფიოდ განაცალკევებს აფსიდებს გუმბათქვეშა სივრცისგან. X საუკუნითაა დათარიღებული ნოჯიხევის რვააფსიდიანი ტაძრის შემორჩენილი გეგმა, გარედან 8 წახნაგითა და მათში შეჭრილი ნიშებითა და შვერილი აღმოსავლეთი აფსიდით. კაცხში კი, რომელიც ამ ტიპის უკანასკნელი ნიმუში უნდა იყოს, გეგმა უფრო გართულებულია – ძირითად ნაწილს ემატება გარშემოსავლელი, რაც გარედან ტაძრის სამსაფეხურიან ფორმას განსაზღვრავს. ამავე ეპოქას მიეკუთვნება ტაოსკარის ტაძარი, 8 სწორკუთხა დიაგონალურად განლაგებული მკლავით, რომლებიც გარედან დაბალ, ფართო, თექვსმეტწახნაგა ფორმაშია ჩაწერილი. გენეტიკურად ამავე თემასთანაა დაკავშირებული კუმურდოსა (964) და ნიკორწმინდის (VI) ტაძრები.

ტაოსკარი. ფასადი და გეგმა. ან. კალგინის ანაზომი





კაცხის ტაძარი. X-XI სს.

ნოჯიხევი. გეგმა. X ს.

კუმურდო. აღმოსავლეთი ფასადი. ფრაგმენტი

კუმურდო

X საუკუნის შუა ათწლეულს მიეკუთვნება კუმურდოს ტაძარი, რომელიც ამ პერიოდის არქიტექტურის ტიპურ მაგალითს წარმოადგენს (მდებარეობს ჯავახეთში, ახალქალაქის მახლობლად). კუმურდო წარმოადგენს იმ ბეგნიერ შემთხვევას, როდესაც ძეგლს შენარჩუნებული აქვს წარწერა, სადაც ქტიტორი და ხუროთმოძღვარია მოხსენებული, მითითებულია აგრეთვე თარიღიც. მთავარი წარწერიდან ვიგებთ, რომ ტაძარი აგებული ყოფილა ხუროთმოძღვარ საკოცარის მიერ, ლეონ მეფის დროს, 964 წელს.

კუმურდო გეგმით მრავალაფსიდიან ტაძართა ტიპს მიეკუთვნება. თავისი გეგმის გამო, ეს ძეგლი გარდამავალი ხანის არქიტექტურის ტიპური ნიმუშია. ინტერიერში, ექვსწახნაგოვანი გუმბათქვეშა სივრცის გარშემო, ხუთი საკმაოდ ღრმა აფსიდაა განლაგებული – 2-2 სამხრეთითა და ჩრდილოეთით (ისინი ერთმანეთის მიმართ პარალელურად არის განლაგებული), აღმოსავლეთით კი – ერთი მთავარი, რომელიც ყველაზე ღრმაა. დასავლეთის მკლავი საკმაოდ წაგრძელებულია და სწორკუთხა მოხაზულობა აქვს. ეს მკლავი, სვეტების საშუალებით, 3 ნავადაა დაყოფილი. გუმბათის ყელი აფსიდების შვერილ კედლებზე გადაბმულ წახნაგოვან სვეტებს ეყრდნობა. მრავალაფსიდიანი ეკლესიისგან განსხვავებით, კუმურდოში გარედან შიდა სივრცის დაგეგმარება არ იკითხება. ტაძარი ჩაწერილია სწორმკლავა ჯვრის ფორმაში. ტაძარი გამოირჩევა აზიდული პროპორციებით. შეიძლება ითქვას, რომ კუმურდოს ტაძრის გეგმაში წინა და მომდევნო ხანის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ნიშნებია შერწყმული. ერთი მხრივ, სახეზე გვაქვს მრავალაფსიდიანობა, რამაც X-XI საუკუნის მიჯნამდე იარსება, მეორე მხრივ კი, აქ ჩვენ ვხვდებით სწორკუთხა გეგმას, რაც მომდევნო ხანის საეკლესიო არქიტექტურისათვის გახდა დამახასიათებელი.



კუმურდო. გეგმა. ნ. სევეროვის ანაზომი

კუმურდო. ხუროთმოძღვარი საკოცარი. 964 წ.

ნიკორწმინდა

ნიკორწმინდა

ნიკორწმინდის ტაძარი აგებულია 1010-1014 წლებში. ტაძარი მდებარეობს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში, ოდნავ შემაღლებულ ადგილზე. ეკლესიის ზუსტი თარიღი მოცემულია წარწერაში, დასავლეთის ტიმპანში. აქ მოხსენებულია ბაგრატ III. ნიკორწმინდის ტაძარს გეგმაში საფუძვლად ჯვარი უდევს. თუმცა, ჩრდილოეთისა და სამხრეთის მკლავები აქ წარმოდგენილია ორ ნახევარწრეზე მეტი მოხაზულობის ფორმით. აფსიდები განლაგებულია გუმბათქვეშა სივრცის კუთხეებში. ამგვარად, საკურთხევლის აფსიდასთან ერთად, ნიკორწმინდას გააჩნია ხუთი აფსიდა. გარედან ტაძარზე ჯვრის ფორმა ზოგადად არის მითითებული, კუმურდოს მსგავსად, ოთხივე მხარეს მართკუთხა ფორმის შვერილები ზუსტად არ გამოხატავს შიდა სივრცის დანაწევრებას. გარედან ეკლესია რამდენადმე მძიმე პროპორციებით ხასიათდება. თუმცა არაჩვეულებრივად საინტერესო და მდიდრული დეკორი გამოარჩევს.



ნიკორწმინდა. გეგმა

ნიკორწმინდა. ინტერიერი

ნიკორწმინდა. აღმოსავლეთის სარკმელი



ოშკი. ხუროთმოძღვარი გრიგოლი. X ს.

კათედრალური ტაძრები

X საუკუნის ბოლოს და XI საუკუნის დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აიგო კათედრალური ტაძრები, რომლებიც თავიანთი მხატვრული ღირებულებითაც მნიშვნელოვანი და გამორჩეული ძეგლებია – ოშკი (ტაო-კლარჯეთი), ბაგრატი (იმერეთი), ალავერდი (კახეთი), სვეტიცხოველი (ქართლი).

ტრიკონქი

X-XI საუკუნეებში შემუშავდა ტრიკონქის არქიტექტურული ტიპი. გეგმაში ჯვრის ფორმის მქონე ნაგებობები, რომელთა სამი მკლავი – აღმოსავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის, აფსიდითაა დასრულებული ტრიკონქის ტიპს ქმნიან. არქიტექტურის ეს ტიპი ჯერ კიდევ გარდამავალ ხანაში ჩამოყალიბდა (დორთქილისა, ისი, ორთული, თელოვანი (VIII–IX)), თუმცა ამ ტიპის კლასიკურ ნიმუშებს X საუკუნის მეორე ნახევრიდან ვხვდებით.

ოშკი

ოშკის საეპისკოპოსო ტაძარი, რომელიც სამხრეთ საქართველოში, ტაოში მდებარეობს, ტრიკონქის ტიპის მნიშვნელოვან ძეგლს წარმოადგენს. ოშკი თორთუმის წყლის მაღალ ნაპირზე, ვიწრო ხეობაშია აგებული. ტაძარი სპეციალურად ამოშენებულ სუბსტრუქციაზე დგას, რომელშიც სამარხებია მოთავსებული. სამხრეთ კედელზე დიდი წარწერაა, რომელიც გვამცნობს, რომ ტაძრის დამფუძნებლები ტაოს მფლობელი ბაგრატიონები ყოფილან (ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი). წარწერა გვაუწყებს, რომ მშენებლობას ვინმე გრიგოლი ხელმძღვანელობდა, რომლის რელიეფური გამოსახულება მოთავსებულია სამხრეთის გალერეის ერთ-ერთ სვეტზე. წარწერაში ვკითხულობთ აგრეთვე ცნობებს ხარჯებისა და საშენი მასალის შესახებ. მითითებულია, რომ ტაძრის მშენებლობა დაიწყო 950-960 წლებში.

ოშკი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯი. ბაზისი და ნიშა

ოშკი. ინტერიერი. დასავლეთ-აღმოსავლეთის ხედი.

ტაძრის გეგმა

ოშკის ტაძარს გეგმაში საფუძვლად ჯვარი უდევს. მისი სამი მკლავი – აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის – დასრულებულია აფსიდით, მეოთხე, დასავლეთის მკლავი კი წაგრძელებულია, ერთნავიანია და მართკუთხა ფორმისაა. სამივე აფსიდის ორივე მხარეს ორსართულიანი დამხმარე სადგომებია. აღსანიშნავია, რომ გეგმაში ტაძრის ჯვრის ფორმა გარედანაც ნათლად იკითხება, უფრო მეტიც, გარედან იკითხება ტაძრის შიდა სივრცის დაგეგმარების მთელი თავისებურება, დამატებითი სადგომებით. დასავლეთის მკლავს სამხრეთიდან გასდევს ღია გალერეა, რომლის სვეტებიც მდიდრულადაა გაფორმებული ორნამენტითა და რელიეფებით. სვეტები ორ მწკრივადაა განლაგებული. სვეტების დამაკავშირებელი კარნიზი ტეხილ ხაზს ქმნის და თაღის ნაცვლად, სვეტებს შორის, ფრონტონის ფორმის არქიტექტურული ელემენტი იქმნება. წმინდა დეკორატიული მოტივის თვალსაზრისით გამოყენებული ღია გალერეის მსგავსი გადაწყვეტა ოშკის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს.



ოშკი. გეგმა.
ან. კალგინის ანაზომი მ. კერნის ნახაზი



ოშკის საერთო ხედი

გუმბათი

ოშკი გრანდიოზული, მონუმენტური ნაგებობაა, რომელიც ზომით ბევრად აღემატება თავისი დროის ძეგლებს. პროპორციებით კი ტაძარი იმ დროის არქიტექტურის დამახასიათებელი ნიმუშია. ტაძრის სიგანესთან შეფარდებით, აქ საგრძნობლად გაიზარდა კედლების სიგრძე და გუმბათის ყელი. რვაწახნაგოვანი გუმბათის ყელი ცილინდრული ფორმის ყელმა ჩაანაცვლა, რომელიც ლილვებისა და დეკორატიული თაღების საშუალებით 24 არედაა დაყოფილი. გაიზარდა სარკმლების რაოდენობა – გუმბათის ყელზე 12 სარკმელია გაჭრილი.

ტაძრის ფასადები

ტაძრის ფასადები შემკულია დეკორატიული თაღებითა და პილასტრებით, უხვადაა გამოყენებული ორნამენტი სარკმლების, კარნიზების, სვეტების მორთულობაში. ორნამენტული მოტივების გარდა, აქ გამოყენებულია ფიგურული რელიეფებიც. რელიეფური დეკორის გამოყენების თვალსაზრისით ოშკი ყველაზე მდიდრული ძეგლია თავისი დროის ძეგლებს შორის. ოშკის ტაძრის გარეგნული მხატვრული სახის შექმნაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხუთთაღოვან კომპოზიციას ტაძრის 3 ფასადზე. ამ თაღებში 2-2 სამკუთხა ფორმის ნიშაა შეჭრილი, რაც პირველად წრომში გვხვდება. ფასადების მსგავსი თაღოვანი დეკორი დამახასიათებელი გახდა XI-XII საუკუნეების ძეგლებისათვის, გაფორმების მსგავსი სისტემა განსაკუთრებით ტიპურია აღმოსავლეთის ფასადებისთვის.

ოშკი. სამხრეთ-დასავლეთი ბურჯის ბაზისი

ინტერიერი

შიგნითაც ტაძარი დიდებულ შთაბეჭდილებას ტოვებს. რელიეფურ დეკორს აქაც საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რაც დამახასიათებელია X საუკუნის ძეგლებისათვის. ჩუქურთმითაა დაფარული ბურჯების ფუძეები და კაპიტელები, სამხრეთის გალერეის ვარსკვლავისებური კამარები.

ოშკი. სამხრეთის კარიბჭე. ფრაგმენტი

სატრაპეზო

ოშკის ტაძრის გარშემო განლაგებული იყო სამონასტრო ნაგებობები. მათ შორის აღსანიშნავია დიდი ზომის ნაგებობის ნაშთები, რაც სავარაუდოდ სემინარია-სატრაპეზო იყო. ეს ნაგებობა, ბაზილიკის მსგავსად, სვეტები საშუალებით 3 ნავადაა დაყოფილი. გარდა ტრაპეზისა, მსგავს ნაგებობებს სხვადასხვა ფუნქციური დატვირთვა გააჩნდა, მაგალითად, აქ ტარდებოდა მეცადინეობები. ამ დარბაზის გვერდით გუმბათით გადახურული კვადრატული ოთახია, სადაც სარკმელი გუმბათის ცენტრშია გაჭრილი. სავარაუდოდ, აქ იყო ბიბლიოთეკა – სკრიპტორიუმი, სადაც იქმნებოდა ხელნაწერები. შუა საუკუნეების საქართველოში იგებოდა ერთსართულიანი და ორსართულიანი სატრაპეზოები. საინტერესო სატრაპეზოებია დავითგარეჯის სამონასტრო კომპლექსში, რომლებსაც შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის საუკეთესო ნიმუშები ამკობს.



ოშკის სატრაპეზო. გეგმა

უდაბნოს სატრაპეზო. X–XI სს.



ბაგრატის ტაძარი

ბაგრატის ტაძარი, რომელიც მდებარეობს მდინარე რიონის მარცხენა ნაპირზე და ზემოდან გადაჰყურებს ქალაქ ქუთაისს, 1003 წელსაა აგებული. გეგმის მიხედვით, ტაძარი ოშკის ტაძრის მსგავსია – ტრიკონქის ტიპისაა. თუმცა, ოშკისაგან განსხვავებით, ტაძარს არ გააჩნია დამატებითი სადგომები სამხრეთისა და ჩრდილოეთის აფსიდის ორივე მხარეს. ამით ბაგრატის ტაძარში საგრძნობლად გაიზარდა შიდა სივრცე. გუმბათი თავისუფლად მდგომ 4 ბურჯს ეყრდნობოდა. ბაგრატის ტაძარში მეტად გაფართოებულია დასავლეთის მკლავი, რომელიც 3 ნავადაა დაყოფილი. ამ მხარეს მოწყობილი იყო პატრონიკე მეფის ოჯახისათვის. დასავლეთ ფასადს ჩრდილოეთის მხრიდან ებჯინება სამსართულიანი კოშკი, ესეც, ალბათ, მეფის ოჯახისთვის იყო განკუთვნილი. კოშკის ამგვარ მდებარეობას ასიმეტრია შემოაქვს ტაძრის საერთო გადაწყვეტაში, რაც მთლიან კომპოზიციას უფრო დინამიურ სახეს ანიჭებს. აღმოჩნდა, რომ თავდაპირველად ბაგრატის ტაძარს, დასავლეთ და სამხრეთ მხარეს, მთლიანი ღია თაღებიანი გალერეა გასდევდა. მოგვიანებით, XI საუკუნის პირველ ნახევარში, დასავლეთისა და სამხრეთის შესასვლელების წინ აშენდა მდიდრულად გაფორმებული კარიბჭეები. ტაძარი მონუმენტურ და დიდებულ ხასიათს ატარებს. ნაგებობის შიდა სივრცეც საკმაოდ მრავალფეროვანია. ტაძრის ინტერიერიც და ექსტერიერიც სხვადასხვა წერტილიდან სხვადასხვა ასპექტში აღიქმება. ტაძარს მდიდრულ იერს ანიჭებს და მის ცხოველხატულობას განსაზღვრავს სარკმლებისა და კარიბჭეების რელიეფური მორთულობა და თაღები. აქ ჩვენ გვხვდება, როგორც მცენარეული, ასევე ფიგურული გამოსახულებები. მდიდრული ორნამენტი ამკობდა სვეტის თავებსა და ბაზებს.



ბაგრატის ტაძარი. ვ. ცინცაძის გეგმა – რეკონსტრუქცია

ბაგრატის ტაძარი. კაპიტელის ფრაგმენტი

ბაგრატის ტაძარი. სამხრეთის კარიბჭე

ალავერდის ტაძარი

ბაგრატის ტაძარს გეგმით მეტად უახლოვდება ალავერდის ტაძარი, რომელიც კახეთში მდებარეობს. ალავერდიც სახელგანთქმული საეპისკოპოსო ტაძარია. ის XI საუკუნის პირველ მეოთხედში აშენდა. ბაგრატის ტაძრისაგან განსხვავებით, ალავერდი ვაკეზე დგას და ალაზნის ველს გაჰყურებს. ტაძარი აზიდული პროპორციებით ხასიათდება. კახეთის ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელია ისიც, რომ აქ არ გვხვდება ფიგურული რელიეფები და ფასადის შემკულობას თაღებისა და ნიშების მწკრივი განსაზღვრავს.

გეგმაში ალავერდის ტაძარს, ისევე როგორც ოშკსა და ბაგრატს, ტრიკონქი უდევს საფუძვლად. თუმცა, ამ ძეგლებისაგან განსხვავებით, ტაძარი ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა. ასე რომ, ჯვრის ფორმა აქ მიწის დონეზე კი არ იკითხება, არამედ სივრცეში აღიქმება, შენობის მასებით. შიდა სივრცეში, ბაგრატის ტაძრისგან განსხვავებით, აფსიდები მეტად მიახლოებულია ერთმანეთთან და გუმბათქვეშა მძლავრ ბურჯებთანაა გადაბმული. ამგვარად გუმბათქვეშა სივრცე უშუალოდ უერთდება აფსიდების სივრცეს და ერთიანი, გრანდიოზული შიდა სივრცე იქმნება.

ალავერდის ხუროთმოძღვრული ანსამბლი

ალავერდი. იზომეტრია. ნ. სვეროვის ნახაზი



სვეტიცხოველი. ხუროთმოძღვარი არსუკიძე. XI ს.

სვეტიცხოველი

სვეტიცხოვლის ტაძარი აგებულია კათალიკოს მელქისედეკის დროს 1010-1029 წლებში, ადრე შუა საუკუნეების ტაძრის ადგილას, რომლის ნაშთები დღევანდელი ტაძრის აფსიდსა და სამხრეთ ნაწილშია შემორჩენილი. ტაძარი საფუძვლიანად იყო განახლებული საქართველოს მეფე ალექსანდრე პირველის დროს, XV საუკუნეში. XVII საუკუნეში ტაძარი აღადგინეს როსტომ მეფემ და მარიამ დედოფალმა. საკათედრო ტაძარი გეგმაში ჩაწერილ ჯვარს წარმოადგენს. დასავლეთისა და აღმოსავლეთის მკლავები საგრძნობლად გრძელია სამხრეთისა და ჩრდილოეთის საკმაოდ მოკლე მკლავებთან შედარებით. აფსიდით დასრულებულია მხოლოდ აღმოსავლეთის მკლავი. აფსიდისა და ბემის კედლებში შეჭრილია 17 თაღოვანი ნიშა. სიგრძის ღერძი ხაზგასმულია დასავლეთის მკლავთან მიბჯენილი ნარტექსითა და კარიბჭით. დასავლეთ მკლავს დღეს სვეტების 3 მწკრივი გააჩნია, რომელთაც 2 თაღი ეყრდნობა. სვეტები მასიური ფორმებით გამოირჩევა.

სვეტიცხოველი. აღმოსავლეთ ფასადის რელიეფის დეტალი

ფასადების გაფორმება და წარწერა

აღსანიშნავია, რომ ფასადების გაფორმებისას ხუროთმოძღვარი არ ერიდება პოლიქრომიის ეფექტებს – კედელში ფრაგმენტულად ჩართულია სხვადასხვა ფერის – ღვინისფერი და მომწვანო, ქვები. დეკორატიული თაღებისა და ორნამენტით შემკული საპირეების გარდა, ტაძარს ამკობს ფიგურული რელიეფები, რომლებიც სხვადასხვა დროსაა შესრულებული. ტაძარი მოპირკეთებულია ქვიშაქვის თლილი კვადრებით.

აღმოსავლეთ ფასადზე მოთავსებულია სამშენებლო წარწერა. აქ მოხსენებულია, რომ ეს ტაძარი ქრისტეს სადიდებლად იყო აგებული კათალიკოს მელქისედეკ I-ის შეკვეთით, ხუროთმოძღვარ არსუკიძის მიერ.

პატრონიკე და ტაძრის ექსტერიერი

დასავლეთის მკლავი სამი მხრიდან გარშემორტყმული იყო პატრონიკეთი. XV საუკუნეში, გადაკეთების შემდეგ, პატრონიკე მხოლოდ დასავლეთით დატოვეს. დასავლეთის მკლავი, აღმოსავლეთის მკლავთან შედარებით, ოდნავ ვიწროა. ტაძარი ჩახაზული ჯვრის ტიპის ნაგებობაა, ასე რომ, ტაძრის ჯვრის ფორმა, გარედან, ნაგებობის მხოლოდ ზედა მასებში იკითხება. აქ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამოიყოფა საფეხურებად განლაგებული ჯვრის მკლავები, რომლებიც ორქანობა სახურავითაა გადახურული, ასევე კუთხის ოთახები (გადახურული ერთქანობა სახურავით) და ნარტექსი. ამგვარად, ტაძრის გარე მასებში ნათლად იკითხება შიდა სივრცის გადაწყვეტა. წინა ხანასთან შედარებით, საგრძნობლად ამაღლდა გუმბათი, რომელშიც 16 სარკმელია გაჭრილი. პროპორციების შეფარდება ამ ნაგებობის ნათელ და ჰარმონიულ ხასიათს განსაზღვრავს. აქაც თავს იჩენს ქართული ხუროთმოძღვრებისათვის დამახასიათებელი გაფორმების სისტემა – ხუთი დეკორატიული თაღით აღმოსავლეთის ფასადზე. აფსიდის ორივე მხარეს, თაღებში, შეჭრილია სამკუთხა ფორმის ნიშები. არქიტექტურული თემის გარკვეული ელემენტებით ტაძარი სიახლოვეს ამჟღავნებს რუისისა და ხახულის ტაძრებთან.

ინტერიერი

ინტერიერში, სამხრეთის კედლის ორ შვერილს შორის ჩაშენებულია კვადრატული გეგმის მომცრო გუმბათიანი სამლოცველო (XV), რომელიც იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიის სიმბოლური ასლია.

სიდონიას საფლავზე აღმართულია კოშკისებური ნაგებობა („სვეტი“), რომელიც მოხატულია გრიგოლ გულჯავარასაშვილის მიერ XVII საუკუნეში.

სვეტიცხოველი. აღმოსავლეთი ფასადის რელიეფის დეტალი

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ხუროთმოძღვრება

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის ტაძრებს, ჯვარგუმბათოვანი ტაძრების მსგავსად, გეგმაში საფუძვლად უდევს ჯვარი. ამ ტიპის ტაძრებისათვის უპირველესად დამახასიათებელია სიგრძივი ღერძის საგრძნობლად დამოკლება. ძეგლების უმეტესი ნაწილის გუმბათი დასავლეთით ორი თავისუფლად მდგომ სვეტს, ხოლო აღმოსავლეთით კი უშუალოდ ბემის კედლებს ეყრდნობა. აღმოსავლეთის მკლავი ბოლოვდება აფსიდით, რომელიც გარედან მართკუთხა ფორმის კედლის საზღვრებში იწერება.

სამთავისი. ხუროთმოძღვარი ილარიონ სამთავნელი, ძე ვაჩე ყანჩაელისა 1030 წ.

აღმოსავლეთ ფასადის გაფორმების ხუთთაღოვანი სისტემა

სამთავისი

ამ ტიპის ნაგებობათა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიმუში სამთავისის ტაძარია. სამთავისის ტაძარი მდებარეობს კასპის რაიონში, სოფელ სამთავისში. ტაძარი აგებულია 1030 წელს, ილარიონ სამთავნელი ძე ვაჩე ყანჩაელის მიერ. პროპორციების შეფარდება მეტად ჰარმონიულ შთაბეჭდილებას ტოვებს. ტაძრის არქიტექტურაში თავს იჩენს ტენდენცია გამარტივებისკენ. მართალია გუმბათი ჯერ კიდევ 4 ბურჯს ეყრდნობა, თუმცა, აღმოსავლეთით, 2 ბურჯი საკმაოდ მიახლოებულია აფსიდასთან და ამიტომ, დასავლეთის ბურჯების მსგავსად, დამოუკიდებლად ვერ აღიქმება. ფასადებზე გამოყენებულია, ამ დროისათვის უკვე საკმაოდ გავრცელებული, გაფორმების ხუთთაღოვანი სისტემა, რომელიც აქ დეკორატიულ კომპოზიციას ქმნის: საკურთხევლის მთავარი სარკმლის თავზე უზარმაზარი მოჩუქურთმებული ჯვარია გამოსახული, სარკმლის ქვეშ კი კუთხით დაყენებული და რელიეფით შემკული ორი რომბია გამოყვანილი. ყველა ეს ელემენტი ერთ ღერძზეა განლაგებული და ერთმანეთს დეკორატიული, მომჩარჩოებელი ლილვით ებმის. იქმნება უწყვეტი დინამიკური ნახატი. სამთავისის აღმოსავლეთ ფასადის გაფორმება ორიგინალურია და თავისთავადობით გამოირჩევა. მსგავსი დეკორი შემდგომ ხანებშიც გვხვდება (მაგ. მეტეხის ტაძრის აღმოსავლეთ ფასადის ცენტრალური შვერილი აფსიდის დეკორში ჩართული დიდი ზომის ჯვრისა და რომბების გამოსახვა). ცენტრალური აფსიდის ორივე მხარეს შეჭრილი ნიშების თაღები რელიეფური, მცენარეული ორნამენტითაა გაფორმებული (ტაძარს ამკობს სხვადასხვა სახის რელიეფური გამოსახულებები, მაგ. გრიფონი)



სამთავისი. გეგმა



სამთავრო. გეგმა

სამთავისი. აღმოსავლეთი ფასადი. ფრაგმენტი

სამთავრო

ცენტრალურ-გუმბათოვანი ტიპის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ძეგლია სამთავროს საეპისკოპოსო ტაძარი მცხეთაში, რომელიც XI საუკუნის პირველ ნახევარშია აგებული. სამთავროს ტაძარი გეგმაში საგრძნობლად დამოკლებულია, დასავლეთით დარჩენილია მხოლოდ 2 თავისუფლად მდგომი სვეტი, აღმოსავლეთით კი გუმბათის ყელი უშუალოდ ბემის კედლებს ეყრდნობა.



სამთავრო. სამხრეთ ფასადის სარკმელი

სამთავრო. XI ს.

სამთავრო. ჩრდილოეთი ფასადი. დეტალები

გელათი

ცენტრალურ-გუმბათოვანი არქიტექტურის კიდევ ერთი საინტერესო ნიმუშია გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (1106). სამთავისისა და სამთავროს ტაძრებისაგან განსხვავებით, გელათის ტაძარს აღმოსავლეთ ფასადზე 3 შვერილი აფსიდი გააჩნია. ამით ის შავი ზღვის სანაპიროს ზოგიერთ ეკლესიასთან (ბიჭვინთა, მოქვი) სიახლოვეს ამჟღავნებს. საოცრად ფართოა ტაძრის შიდა სივრცე. ტაძარს გააჩნია პატრონიკე, რომელიც დასავლეთის მკლავის გარშემოა განლაგებული, თუმცა, წინა ხანის ტაძრებთან შედარებით, მისი მნიშვნელობა საკმაოდ შემცირებულია. ტაძრის საკურთხეველს ამკობს XII საუკუნის მოზაიკა.

გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი დავით აღმაშენებლის მიერ ქუთაისის მახლობლად დაარსებული სამონასტრო კომპლექსის ერთ-ერთი ძირითადი ნაგებობაა. მონასტრის ტერიტორიაზე არსებობდა აკადემია (აკადემია არსებობდა აგრეთვე იყალთოში). სამონასტრო ანსამბლი შედგება რამდენიმე ნაგებობისგან – ღვთისმშობლის ტაძარი, წმინდა გიორგის ეკლესია, წმინდა ნიკოლოზის ტაძარი (ორსართულიანი, მცირესადგომებიანი ტაძარი) და სამრეკლო. მთავარი ტაძრის გარდა, სხვა ნაგებობები ცოტა მოგვიანებით იქნა აგებული (XII-XIII), თუმცა, იგრძნობა, რომ გვიანი ტაძრების ხუროთმოძღვრებს გათვალისწინებული ჰქონდათ ტაძრების ურთიერთდამოკიდებულება და ამიტომაც აქ თამამად შეიძლება საუბარი არქიტექტურული ანსამბლის შესახებ.

გელათი. წმინდა ნიკოლოზის ეკლესია. XIII ს. მ. ჩხიკვაძის ნახაზი

გელათის სამონასტრო ანსამბლი

გელათის მთავარი ტაძარი

გეგუთი

გელათთან ახლოს, რიონის მარცხენა ნაპირზე, ქუთაისიდან რამდენიმე კილომეტრში, გაშლილ ველზე, გეგუთის ციხე-დარბაზის ნანგრევებია. ციხე-დარბაზის ყველაზე ადრეულ ნაწილს მცირე სამეფო „სანადირო სახლი“ – ბუხრიანი ოთახი წარმოადგენს. XII საუკუნეში აშენდა აგურის დიდი კვადრატული დარბაზი, რომელიც თლილი ქვით ნაშენ 3-მეტრიან ცოკოლზე დგას და ტრომპებზე ამოყვანილი გუმბათითაა გადახურული (დიამეტრი 14 მეტრი). ოთხი სწორკუთხოვანი ფრთა დარბაზის კვადრატის მხარეებს ერწყმის და უფრო ადიდებს შიდა სივრცეს.

გეგუთის ციხე-დარბაზი. XII ს.

გეგუთის რეკონსტრუქცია. ვ. ცინცაძის მიხედვით

ფიტარეთი. განაკვეთი. 1213-1222 წწ. ჰ. ჰრინევსკის ნახატი

ცენტრალურ-გუმბათოვანი ხუროთმოძღვრება XII-XIII საუკუნეებში

XII-XIII საუკუნეებში შეიქმნა გუმბათოვანი ტაძრების ერთი ჯგუფი. ამ ტაძრებში ნათლად გამოვლინდა ის ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ XI საუკუნის დასაწყისში სამთავროსა და სამთავისის ტაძრებში ჩაისახა. ამ ტაძრებისათვის დამახასიათებელია გეგმის კიდევ უფრო დამოკლება. მათი შიდა სივრცე კვადრატს უახლოვდება. შეიცვალა აგრეთვე ტაძართა პროპორციებიც – ტაძრის კორპუსი დადაბლდა, ხოლო გუმბათის ყელი დაგრძელდა და კოშკივით აღიმართა (ზოგიერთ შემთხვევაში კორპუსისა და გუმბათის ყელის სიმაღლე თითქმის ტოლია). ამ ჯგუფის ტაძრებს მიეკუთვნება: თიღვა (1152), იკორთა (1172), ბეთანია, ქვათახევი, ყინწვისი, ტიმოთესუბანი (ყინწვისი და ტიმოთესუბანი აგებულია აგურით, რაც ამ ეპოქისათვის გამონაკლისს წარმოადგენს), ფიტარეთი, წუღრუღაშენი, ახტალა (XII-XIII საუკუნეები).

შეიცვალა აგრეთვე ფასადების დეკორატიული გაფორმების სისტემა. მხატვრული ეფექტი გლუვი კედლებისა და სარკმელთა გარშემო თავმოყრილი ორნამენტული მოტივების დაპირისპირებას ემყარება. გლუვი კედლის ფონზე ეს დეკორატიული ელემენტები მკვეთრი აქცენტების სახეს იძენენ. დეკორატიულ მორთულობაში ჩნდება ახალი მოტივი – მდიდრული საპირეებით შემოსაზღვრული შეწყვილებული სარკმლები და მათ შორის ჩასმული მოჩუქურთმებული ჯვარი. მსგავსი სარკმლები ამკობენ ჩრდილოეთის, სამხრეთის და დასავლეთის ფასადებს. უხვადაა შემკული გუმბათის ყელი, სადაც მჭიდროდ განლაგებული სარკმელთა საპირეები ერთ მთლიან მორთულ ზედაპირს ქმნიან. XI საუკუნის საეპისკოპოსო ტაძრებთან შედარებით, ეს ნაგებობები უფრო მყუდრო ხასიათისაა, მით უფრო, რომ ამ ჯგუფის თითქმის ყველა ეკლესია განცალკევებით დგას, ქალაქებისა თუ სოფლებისაგან დაშორებულ ხეობებში.



იკორთა. 1172 წ.

ვანის ქვაბები და ვარძია

XII საუკუნის უმნიშვნელოვანესი არქიტექტურული ძეგლია კლდეში ნაკვეთი ქალაქი ვარძია. ვარძია მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს, ასპინძიდან 30 კილომეტრში. ქალაქი ერუშეთის მთის ფერდობზე 500 მეტრზეა გადაჭიმული. ფერდობის სიმაღლე 100 მეტრს აღწევს. ქალაქის გაშენებისას გამოყენებული იყო უკვე შემუშავებული ტექნოლოგიური მიდგომები (საქართველოსთვის კლდეში ნაკვეთი არქიტექტურული კომპლექსები ახალ თემას არ წარმოადგენს – უძველესი დროიდან არსებობდა ქალაქი უფლისციხე და სამონასტრო კომპლექსი დავითგარეჯში). ვარძიის მშენებლობა დაიწყო გიორგი III-ის დროს და თამარის მეფობაში დასრულდა. თამარის მეფობის დროს ვარძიამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ვარძია კლდეში გამოკვეთილი 600–მდე ოთახისაგან შედგებოდა. საცხოვრებელი „სახლები“ 2–3–4-ოთახიანი იყო, შემორჩენილია რამდენიმე ორსართულიანი სახლიც. ქალაქში არსებობდა თავდაცვითი სამალავები, წყალსადენი გვირაბი, სარწყავი არხები, მტკვარზე ჩასასვლელი საიდუმლო გვირაბი, ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ეკლესია, აფთიაქი, რამდენიმე მარანი. საცხოვრებელი დარბაზები ერთმანეთს გვირაბებისა და ჭერში გაჭრილი ერდოების საშუალებით უკავშირდებოდა.

ვარძია. XII ს.

ვანის ქვაბები

ვარძიის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის მეორე ნაპირზე ვანის ქვაბები მდებარეობს იქ, სადაც შუა საუკუნეებში (XI-XVI) დედათა მონასტერი იყო განთავსებული. კლდეში 16 სართულად გამოკვეთილ 200–ზე მეტ გამოქვაბულს სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდა.

ვანის ქვაბები. უდაბნო–მონასტერი

ვანის ქვაბები. მცირე გუმბათოვანი ეკლესია

ვარძია. გვირაბი

XIII–XVIII საუკუნეების ხუროთმოძღვრება

XIII-XVIII საუკუნეების საქართველოში იქმნება როგორც საკულტო, ასევე საერო არქიტექტურის საინტერესო ნიმუშები. მართალია, ამ პერიოდის ქართული ხუროთმოძღვრება წინა ეპოქებისათვის დამახასიათებელი შემოქმედებითი მრავალფეროვნებით არ ხასიათდება, თუმცა ამ საუკუნეების განმავლობაში არაერთი მნიშვნელოვანი ძეგლი შეიქმნა.

საფარა

საფარის მთავარი ეკლესია, სამრეკლოთი და სასახლით, XIII-XIV საუკუნეების მიჯნაზეა აგებული. ამ დროისათვის საფარა სამცხის მმართველების, ჯაყელების, რეზიდენციას, შემდგომ კი მათ საგვარეულო საძვალეს წარმოადგენდა. ამ დროისათვის საფარას განაგებდა მეტად ენერგიული მოღვაწე ბექა მანდატურთუხუცესი. ტაძრის დასავლეთ კარიბჭეზე, სარკმელთან, შემოგვრჩა წარწერა, რომელშიც ხუროთმოძღვარი – ფარეზას ძეა – მოხსენებული. საფარა გეგმაში მართკუთხა ფორმის ტაძარია. აქ ნათლად შეინიშნება სიგრძის ღერძის დამოკლების ტენდენცია, რომელიც წინა ხანაში ჩამოყალიბდა. გუმბათი აფსიდის შვერილებსა და 2 თავისუფლად მდგომ ბურჯს ეყრდნობა. აფსიდა ჩაწერილია გარე კედლების მართკუთხა ფორმაში. გუმბათის ყელი თაღების მწკრივითაა შემკული, რომელთა მონაცვლეობაში, ერთი თაღის გამოშვებით, სარკმლის ღიობია ჩართული. აღსანიშნავია დასავლეთით მდებარე უჩვეულოდ მაღალი კარიბჭე. არქიტექტურული ანსამბლის კომპოზიცია მეტად შეკრული და კომპაქტურია.

საფარის მონასტერი. ხუროთმოძღვარი ფარეზასძე

საფარის სამრეკლო

საფარის სამრეკლო ქართული ადრეული სამრეკლოების ტიპისაა: ქვემოთ კუბური ფორმის ნაწილით (აქ ჯაყელების მსახურთუხუცესის – ლასურისძის – საგვარეულო სამარხია), ზემოთ კი საკუთრივ სამრეკლო, ღია თაღებიანი ფანჩატურის ფორმის. ნაგებობა დეკორატიულ მორთულობას მოკლებულია, თუმცა პირველი სართულის ინტერიერი მხატვრობითაა შემკული. მხატვრობაში ლასურისძეთა პორტრეტებია ჩართული.



ანჩისხატის სამრეკლო. 1675 წ.



გუდარეხის სამრეკლო. ხუროთმოძღვარი ჭიჭაფორიძე. 1278 წ.

ურბნისის სამრეკლო. 1706 წ.

ქართული სამრეკლოები

საქართველოში სამრეკლოების მშენებლობა, ისევე, როგორც მთელ აღმოსავლეთ ქრისტიანულ სამყაროში, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ივარაუდება. თითქმის ყველა სამრეკლო 2 ან მეტი ნაწილისგან შედგება. არსებობს სამრეკლოები, რომელთა ქვედა კუბურ ნაწილებში თაღოვანი გასასვლელებია მოწყობილი და მონასტრის კარიბჭის ფუნქციას ასრულებს (გუდარეხი, ვარძია, ურბნისი), თავდაპირველი ზარზმა, ანჩისხატი (ააგო დომენტი კათალიკოსმა). განსხვავებული სახეობის სამრეკლოებში პირველ სართულში საძვალეა განთავსებული (იჯარეთი, საფარა). გვხვდება სამრეკლოები, სადაც პირველი, მეორე და მესამე სართულები ტიპური საცხოვრებელი სადგომ-სათავსებია (ნინოწმინდა, ახალი შუამთა, გრემი).

ზარზმის სამონასტრო ანსამბლი. ხუროთმოძღვარი გარბანელი. XIV ს.

ანანური

ანანურის ციხე XVI საუკუნის საინტერესო ძეგლია, რომელიც თბილისიდან ჩრდილოეთით, 66 კილომეტრის მანძილზე, არაგვის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. ანანური არაგვის ერისთავთა მძლავრი საგვარეულოს კუთვნილება იყო და, შესაბამისად, მრავალი ბრძოლა და შემოსევა განუცდია. ანანური მთის ფერდობზე მდებარეობს და ტყიანი მთებითაა გარშემორტყმული. არქიტექტურულ კომპლექსს მძლავრი გალავანი შემოსაზღვრავს. გალავნის შიგნით 2-გუმბათიანი ეკლესია, სამრეკლო, წყალსაცავი და წყაროა თავმოყრილი. თვით გალავანში რამდენიმე კოშკია ჩართული. მათ შორის, დასავლეთ კედლის ცენტრალურ ნაწილში, მთავარი 7-სართულიანი კოშკია – ე. წ. შეუპოვარი, რომელშიც საცხოვრებელი ოთახებია განთავსებული. კომპლექსის ძირითად ნაგებობას დიდი ეკლესია წარმოადგენს, რომელიც 1689 წელს აიგო (თარიღი ტაძრის სამშენებლო წარწერაშია მოხსენებული). დიდი ეკლესია ქვითაა მოპირკეთებული და მდიდრულად გაფორმებული.

გეგმის თვალსაზრისით ტაძარი აგრძელებს სამთავროსა და სამთავისის ტაძრებში ჩამოყალიბებულ ტრადიციას. გუმბათქვეშა თაღოვან მალებს, ისევე, როგორც დასავლეთის მკლავის ორივე მხარეზე გაშლილ მალებს, ოდნავ შეისრული ფორმა გაჰნია.

ზარზმა

ზარზმა, XIV საუკუნის პირველ წლებში, ბექა მანდატურთუხუცესის დროსაა აგებული. ეკლესია გუმბათიან ნაგებობას წარმოადგენს, რომელიც მოპირკეთებულია თლილი ქვის კვადრებით. გუმბათი 2 თავისუფლად მდგომ გუმბათქვეშა სვეტს ეყრდნობა. აფსიდა აქაც, საფარის მსგავსად, გარე კედლების სწორკუთხა ფორმაშია ჩაწერილი. ფასადები მდიდრულადაა მორთული ორნამენტებით. ორნამენტებით დაფარულია კარისა და სარკმლების საპირეები. აღმოსავლეთის ფასადზე დიდი ჯვარია გამოსახული, აქვე ვხვდებით დეკორატიულად გაფორმებულ ვარდულებს. ზარზმა, საფარის მსგავსად, თავისი დროისათვის მეტად დამახასიათებელი ძეგლია. ზარზმაში ყურადღებას იპყრობს სტოა – კარიბჭე, რომელიც მიუყვება სამხრეთის ფასადს. გარეთ, უშუალოდ შესასვლელის წინ, ის 3 თაღითაა გახსნილი. ვარაუდობენ, რომ ეს კარიბჭე ადრე არსებული ძეგლის ნაწილი უნდა იყოს.

ზარზმის სამონასტრო კომპლექსში შედის სამრეკლო, რომელიც საქართველოში უდიდესია. ეს ორსართულიანი ნაგებობაა, რომლის ქვედა ნაწილი კუბური ფორმისაა და გალავანში შესასვლელს წარმოადგენს. 1577 წელს იქაურმა ფეოდალებმა, ხურციძეებმა, სამრეკლოს პირველი სართულის თაღები ამოაშენეს და აქ იოანე მახარებლის ეკლესია გამართეს.

ანანური. სამხრეთი ფასადის რელიეფის დეტალი

ანანურის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. მშენებლობის ხელმძღვანელი ქაიხოსრო ბაღსარაშვილი. XVII ს.

ახალი შუამთა

ახალი შუამთის ტაძარი მეფე ლევანისა და მისი მეუღლის – თინათინის – მიერ აიგო. შუამთის ტაძრის მშენებლობა 1565 წელს დასრულდა. ტაძარი ღვთისმშობლის სახელობისაა. ტაძარი სწორ ადგილასაა აგებული. ეკლესია აგურითაა ნაშენი. ტაძარს 3 მხარეს კარიბჭეები გააჩნდა (დღეს დასავლეთისა და სამხრეთის უმნიშვნელო ნაწილებია შემორჩენილი). გეგმით, ტაძარი ჯვარგუმბათოვანი ნაგებობაა, გუმბათის საყრდენი სვეტების წყვილით დასავლეთ მხარეს. ტაძარს წაგრძელებული პროპორციები ახასიათებს, მაღლა აზიდულ ჯვრის მკლავებსა და გუმბათს, შედარებით დაბალი გვერდითა სადგომები უპირისპირდება. გუმბათის ყელში 8 გრძელი და ვიწრო სარკმელია გაჭრილი. გუმბათქვეშა კვადრატიდან გუმბათის ყელზე გარდამავალი აფრები მცირე ზომისა (რაც დამახასიათებელია ამ ხანის არქიტექტურისათვის) და, გუმბათქვეშა თაღების მსგავსად, შეისრული ფორმისაა, რაც ირანული არქიტექტურის ანარეკლს წარმოადგენს.

ტაძრის ფასადების მორთულობას აგურით გამოყვანილი სწორკუთხა და თაღოვანი ნიშები და ჯვრის გამოსახულებები წარმოადგენს.

ტაძრიდან ჩრდილო-დასავლეთით სამრეკლო და სამეურნეო ნაგებობებია განლაგებული.

ახალი შუამთა. XVI ს.

გრემი

გრემის (XVI) ტაძარი მაღალ მთაზე მდებარეობს. გეგმაში ეკლესია ახალი შუამთის პარალელს წარმოადგენს. ტაძრის ძირითადი, ჯვრის ფორმის ნაწილი საკმაოდ მაღალია. ვიწრო თაღები შეისრული ფორმისაა, სვეტები კი – წრიული, მეტად აზიდული და თხელი. გუმბათი ბრტყელ და ზედა ნაწილში კუთხოვან 4 აფრას ეყრდნობა. ტაძარში შესასვლელი დასავლეთის, სამხრეთისა და ჩრდილოეთის მხარესაა. შესასვლელებს პირდაპირ ჯვრის მკლავებში შევყავართ. ინტერიერის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში, სვეტის უკან, მეფე ლევანის აკლდამაა, რომელიც ოდნავ ამაღლებულია.

ტაძრის ფასადების აზიდული, ვიწრო პროპორციები და კედლის ზედაპირში ჩაღრმავებული გამოსახულებები და ნიშები კახეთის არქიტექტურისათვის დამახასიათებელი ელემენტებია, ისევე, როგორც ფასადების გაფორმებაში ჩართული სპეციალური ფორმის აგურები.

XV საუკუნის მეორე ნახევარში გრემი კლასიკურ ფეოდალურ ქალაქს წარმოადგენდა მდინარე ინწობას ხეობაში. ქალაქის კვარტალები მდინარის გასწვრივ, აღმოსავლეთით და დასავლეთით, იყო განლაგებული. ქალაქი შემოზღუდული იყო გალავნით და 3 ძირითადი ნაწილისგან შედგებოდა: 1. ტაძარი და სამრეკლო; 2. სამეფო რეზიდენცია – სამეფო სასახლეები, შადრევნიანი შენობა, რვაკუთხა კოშკი, აგურის აბანო; 3. სავაჭრო უბანი – ქულბაქები (ბაზარი) და ქარვასლა (სასტუმრო).



გრემის ქარვასლის და ქულბაქების გეგმის რეკონსტრუქცია. პ. ზაქარაიას ნახაზი

გრემის ხუროთმოძღვრული ანსამბლი. XVI ს.

მთის საერო ხუროთმოძღვრება. ხიდები

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ისეთი სოფლები და ქალაქები, რომლებიც მტრის შემოსევისას თავდაცვითი ნაგებობების ფუნქციას ასრულებდა. ერთ–ერთი ამგვარი სოფელია შატილი, რომელიც შუა საუკუნეებში შეიქმნა და დღემდე პირვანდელი სახით შემოგვრჩა.

შატილი

შატილის არქიტექტურა თეატრალური დეკორაციის ასოციაციას ქმნის. სოფელი ტერასებადაა გაშენებული. ძირითად საშენ მასალას ნატეხი ქვა და ფიქალი წარმოადგენს. შატილში აგებული კოშკები, ქვითკირით ნაგები ციხე-სახლები და კალოიანი სახლები ერთმანეთს შიდა ქვისა და ხის კიბეებით, ბანებით, ღია თუ დახურული აივნებით უკავშირდებოდა. ადამიანი სოფლის ერთი ბოლოდან მეორეში ისე ავა, რომ გარედან მისი დანახვა სრულიად შეუძლებელია. ციხე-ქალაქი შატილი საუკუნეების განმავლობაში იცავდა ხევსურეთს ჩრდილოელი ტომების შემოსევებისგან.

შატილი

თუშეთი. სოფელი კვავლო

კოშკი. ფარსმა

რკონის ხიდი. ბესლეთის ხიდი. XI–XII სს.

თაღოვანი მალი

თუშეთი

თავისი ფორმითა და ხასიათით სრულიად გამორჩეულია თუშეთში შემორჩენილი კოშკები. მაღალი, სწორკუთხა, ზედა ნაწილში ოდნავ შევიწროებულ თუშურ კოშკებს პირამიდისებური, საფეხურებიანი სახურავი გააჩნია. ქვედა სართულებზე მხოლოდ სათოფურებია, ზედა ნაწილში კი მცირე ზომის სწორკუთხა აივნები და შეისრული თაღოვანი ფორმის კარები აქვს გაჭრილი ოთხივე ფასადზე. კოშკი ერთდროულად თავშესაფარს და სათვალთვალოს წარმოადგენდა.

ბესლეთის ხიდის ფრაგმენტი ასომთავრული წარწერით

ადამაანთ ციხე. XVIII ს. კოშკურა ფორმის ნაგებობები კახეთის არქიტექტურაშიც გვხვდება – საბუე, ზემო ხოდაშენი, ახმეტა, რუისპირი, ბირკიანი. საგულისხმოა, რომ ამ 3-4–სართულიან ნაგებობებს, რომლებსაც ციხე–სახლებად მოიხსენიებენ, საცხოვრებელი, თავდაცვითი და სამეურნეო ფუნქცია გააჩნდა.

ხიდები

შუა საუკუნეების საქართველოში საკმაოდ განვითარებული და გავრცელებული იყო ხიდების მშენებლობა. ქვის ხიდების შემორჩენილი ნიმუშების ძირითადი ნაწილი ერთმალიანი – თაღოვანი, საკმაოდ მყარი კონსტრუქციის საინჟინრო ნაგებობებია.

სვანეთი

თავდაცვითი თავისებურებით გამოირჩევა სვანური კოშკები, რომლებიც X-XIV საუკუნეებშია აგებული. სვანური კოშკები 4, 5 ან 6-სართულიანია. მათი სიმაღლე 20-25 მეტრია. სართულები ერთმანეთს ხის გადასატანი კიბით უკავშირდება. თითოეული კედელი ქვედა ნაწილში 1,5 მეტრი სისქისაა და რიყის ქვით, ლოდებით და ფიქლითაა ნაგები. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული კოშკებს სვანეთში მთისაკენ კუთხით აგებენ, ისე, რომ ზვავმა და მეწყერმა ზიანი არ მიაყენოს. განსაკუთრებით საინტერესოა სვანური კოშკების გადახურვა. დაკბილულთაღებიანი სალოდეებით (მაშიკულით) დაგვირგვინებული კოშკები ორქანობა სახურავითაა გადახურული. მონუმენტური კოშკების ფორმათა სიმარტივე და ლაკონიურობა ნაგებობის თავდაცვით ხასიათს შეესატყვისება. კოშკებს არ აქვს საცეცხლე ადგილი, არ თბება, ამიტომ საცხოვრებლად მხოლოდ თბილ ამინდებში გამოიყენებოდა. სვანური არქიტექტურისათვის დამახასიათებელია კოშკთან მიდგმული საცხოვრებელი სახლი. ასეთ კოშკიან სახლებს მურყვამიან სახლებს უწოდებენ. სახლი 1 ან 2-სართულიანია. პირველ სართულზე მაჩვიბია – ვრცელი სადგომი (100 კვ.მ-მდე ფართობით და 3,5-4 მ სიმაღლის ჭერით) ოჯახისათვის, სადაც ზამთრობით პირუტყვსაც აყენებენ. მაჩვიბის ცენტრში კერაა მოწყობილი. მეორე სართულზე კი სანოვაგის ან თივის შესანახი დარბაზია, რომელსაც ზაფხულობით საცხოვრებლადაც იყენებენ. სვანეთში საცხოვრებელი და თავდაცვითი ფუნქციის მქონე ციხე-სახლებიც იგებოდა, რომელსაც მაჩვიბისა და დარბაზის თავზე თავდაცვითი ფუნქციის მქონე მესამე სართული გააჩნდა, სვანური კოშკების მსგავსი გადახურვით.

მაჩვიბი *უშგული*

ოდა სახლი. ფეიქრიშვილის ნახაზი.



კოშკის განაკვეთი. ნ ბრაილაშვილის ჩანახატი

ოდა სახლები

მესხეთ-ჯავახეთში, თრიალეთსა და დასავლეთ საქართველოში, საცხოვრებელი სახლის განსხვავებული ტიპი – ოდა სახლი შეიქმნა, რომელიც სხვადასხვა ტრადიციების სინთეზის მაგალითია. მასში თავმოყრილია, როგორც წმინდა ხალხური ნაგებობის, ისე ფეოდალთა სასახლეების გამოცდილება. თავს იჩენს ქალაქური კულტურის ელემენტები. XIX საუკუნის მიწურულიდან ოდა სახლი წარმოადგენს საცხოვრებლის საყოველთაო ტიპს. სხვადასხვა ტიპის ოდა სახლებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია კვადრატული გეგმის, 3-6-ოთახიანი, ფანჯრებიანი ხის სახლი, ხის აივნით, რომელიც ქვის ან ხის ბოძებზე იდგა.

„ახალი“ ხანის ხუროთმოძღვრება – XIX-XX საუკუნეები

XVII-XVIII საუკუნეებიდან ქართულ კულტურაში თავს იჩენს დასავლეთევროპული გავლენები. ამ გავლენის საფუძველი, ერთი მხრივ, საქართველოში კათოლიკე მისიონერების მოღვაწეობაა, მეორე მხრივ კი – ევროპულ ხელოვნებასთან კავშირი, რაც რუსეთის საშუალებით ხორციელდებოდა.

XIX საუკუნემ ბევრი სიახლე შემოიტანა ქართულ კულტურაში. ამ ეპოქაში ფეხს იკიდებს კაპიტალიზმის სისტემისათვის დამახასიათებელი ნიშნები. აიგო ფაბრიკა-ქარხნები, სასტუმროები; გაიყვანეს რკინიგზა და სატელეფონო ხაზები, ასევე – ტელეგრაფი. დაიწყო ახალი უბნების მშენებლობა, ქუჩების დაგეგმარებით ახალი ცენტრების მიმართ.

ძველი თბილისი. ნ. სევეროვის ნახატი

გარეთუბანი

XIX საუკუნიდან მნიშვნელოვნად გაიზარდა და განვითარდა თბილისი. ნარიყალასა და მეტეხის პლატოს შორის, მდინარე მტკვრის ყველაზე ვიწრო ადგილას გაშენებული ქალაქი, დღემდე შემორჩენილი შუა საუკუნეების ვიწრო ქუჩების ქსელით, გაფართოვდა. ჩნდება ახალი უბანი, რომელსაც გარეთუბანს უწოდებენ. გარეთუბანში თბილისის ადმინისტრაციული, კულტურული და სავაჭრო ცენტრები გადაიტანეს. სოლოლაკის ბაღები ბურჟუაზიის საცხოვრებელ ადგილად იქცა. მდინარე მტკვრის მარჯვენა და მარცხენა სანაპიროთა მიმდებარე ტერიტორიაზე ორი გრძივი მაგისტრალი ჩამოყალიბდა – გოლოვინის (ახლ. რუსთაველის) და მიხეილის (ახლ. აღმაშენებლის) პროსპექტები. აშენდა ხიდები, სწორი ფართო ქუჩები და მოედნები დიდი, კაპიტალური სახლებით, გაშენდა გაზის ფარნებით განათებული ბაღები. გაიყვანეს კონკა (1883), შემდეგ – ტრამვაი (1904), 1905 წელს კი ამოქმედდა სამთო-საბაგირო რკინიგზა – ფუნიკულიორი (ინჟინრები ა. რობი, ა. ბლანში, ი. რაგოლეტი და ა. ფონტანა-როსი, არქიტექტორი ალ. შიმკევიჩი).



ფუნიკულიორი

ფსევდოქართული სტილი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში თბილისური არქიტექტურა კლასიციზმის, რენესანსის, ბაროკოსა და მავრიტანული სტილის ნიშნებით ხასიათდება. მოგვიანებით კი მოდერნი და ფსევდოქართული სტილი გავრცელდა. ამ პერიოდში ყალიბდება 2-3-სართულიანი თბილისური ეზოიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ტიპი, სადაც ერთმანეთს ორგანულად ერწყმის ევროპული ფორმები და ელემენტები და ადგილობრივი ტრადიციები. ამ სახლებისათვის დამახასიათებელია ბანისებური გადახურვა, ჭვირული ხის აივნები, ვიტრაჟიანი შუაბანდები. სხვადასხვა მიმდინარეობათა ნიშნები ხშირად ადგილობრივ ეკლექტურ ნაერთს ქმნიდა.

გაზის ფარანი

ტრამვაი ციციანოვის აღმართზე

ამიერკავკასიის არმიის საოლქო შტაბის ყოფილი კორპუსი (1824-1829). გვიანი კლასიციზმის ნიმუში

საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის შენობა (1830), რომლის ავტორია შვეიცარიელი არქიტექტორი ჯუზეპე ბერნარდაცი, გვიანი კლასიციზმის ნიმუშს წარმოადგენს. ადრე აქ სემინარია და სინოდის კანტორა იყო განთავსებული.

თბილისის სამხატვრო აკადემია (ყოფილი არშაკუნის სასახლე) რუსი არქიტექტორის, გრიგოლ ივანოვის, მიერაა აგებული XIX საუკუნის 50-იან წლებში. სასახლეში 1869-1886 წლებში საარტისტო წრე იყო განთავსებული. 1902 წელს სიმონ კლდიაშვილმა გადააკეთა და დაუმატა ბაროკოს და როკოკოს ელემენტები. სასახლის ინტერიერი გამოირჩევა გვიანირანული დეკორით, რაც საოცრად შთამბეჭდავია.

ახლანდელი მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე (ყოფილი მთავარმართებლის (ვორონცოვის) სასახლე) მე-19 საუკუნის 40-იან წლებშია აგებული ა. სემიონოვის პროექტით. შენობა 1865-1869 წლებში საფუძვლიანად გადააკეთა ოტო იაკობ სიმონსონმა. ნაგებობის ფასადის კლასიცისტური ელემენტები რენესანსულმა ჩაანაცვლა. ინტერიერში გვიანი ირანული არქიტექტურის დამახასიათებელი მორთულობა კლასიცისტურ ორდერთანაა შეხამებული.

ოპერის თეატრი (ყოფილი სახაზინო თეატრი) 1890–1896 წლებშია აგებული არქიტექტორ ვ. შრეტერის მიერ. თეატრის გეგმის პროტოტიპად აღებული იქნა რიჰარდ ვაგნერის ბაიროითის თეატრი. თეატრის შენობისათვის დამახასიათებელია ისლამური და ფსევდომავრიტანული სტილის ელემენტების გამოყენება, ორსართულიანი პორტიკი.

ვეტცელის სასტუმრო, დღევანდელ აღმაშენებლის პროსპექტზე (1879), გერმანელი არქიტექტორის, ლეოპოლდ ბილფელდის (1839–) მიერაა აგებული; ფასადის ატლანტების ავტორია ვილსი. შენობა ბაროკოს სტილშია შესრულებული. ამ შენობაში განთავსებული იყო თეატრი და დამონტაჟებული იყო პირველი ლიფტი.

რუსთაველის გამზირზე №54–ში ვასილ გაბაშვილის ორსართულიანი სახლი (მეცნიერებათა აკადემიის შენობის უკან, სიღრმეში) 1897 წელს ააგო კორნელი ტატიშჩევმა. ხის ჭვირული, ცისფერი აივნებიანი შენობა, რომელშიც სხვადასხვა სტილის ელემენტებია თავმოყრილი, ძალზე შთამბეჭდავად გამოიყურება.

ისლამური მოტივებით გამოირჩევა კორნელი ტატიშჩევის საკუთარი სახლი ლადო ასათიანის ქუჩაზე, რომელიც არქიტექტორმა 1897 წელს ააგო.

თბილისის საკრებულოს შენობა (ყოფილი ქალაქის საბჭო) 1883 წელსაა აგებული გერმანელი არქიტექტორის, პაულ შტერნის, მიერ. შენობისათვის მავრიტანული სტილის ნიშნებია დამახასიათებლი.

საქართველოს ეროვნული გალერეა (ყოფილი დიდების ტაძარი) აგებულია თბილისელი გერმანელის, ალბერტ ზალცმანის (1833–1897) მიერ, 1888–1892 წლებში. შენობა რომის საგამოფენო სასახლის ასლს წარმოადგენს (არქიტექტორი პიო პიაჩენტინი), თუმცა ზომაში საკმაოდ შემცირებულია. გალერეის შენობა ალექსანდრეს ბაღის ტერიტორიაზე მდებარეობს (ბაღის არქიტექტორი ოტო იაკობ სიმონსონი (1832–1914); ბოტანიკოსი ჰაინრიჰ შარერი (1860–1863).

თბილისის სასამართლოს შენობა 1894–1896 წლებში აიგო. არქიტექტორი აღ. შიმკევიჩი.შენობისათვის დამახასიათებელია იტალიური რენესანსისა და ბაროკოს სტილის ნიშნების სინთეზი

მელიქ აზარიანცის სახლი XX საუკუნის დასაწყისში არქიტექტორ ნ. ობოლონსკის მიერაა აგებული და მოდერნის სტილის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. რელიეფები შესრულებულია ა. ო. ნოვაკის ხუროთმოძღვრული ძერწვის სახელოსნოში, თბილისში.

რუსთაველის თეატრის (ყოფილი „არტისტული საზოგადოების“) შენობა არქიტექტორ კორნელი ტატიშჩევის მიერაა აგებული 1888–1901 წლებში, პოლონელი არქიტექტორის, ალექსანდრე შიმკევიჩის თანაავტორობით. შენობა გამოირჩევა არქიტექტურული თავისებურებებით. შთამბეჭდავია პორტიკი ბალუსტრადიანი გადახურვით და როკოკოს სტილის ელემენტები.

ალექსანდრე ოზეროვის მიერ არის აგებული ალექსანდრე ჭავჭავაძის სასახლე და ღვინის სარდაფები წინანდალში. ბაღის დიზაინერ-დეკორატორი ფრანგი არნოლდ რეგელია.

ღვინის №1 ქარხანა ვერაზე, ვასილ პეტრიაშვილის ქუჩაზე, 1894–1896 წლებშია აგებული არქიტექტორ ალექსანდრე ოზეროვის მიერ. შენობის ფასადი შექმნილია ნიკოლოზ სევეროვის მიერ. 1949 წელს, ქალაქის რეკონსტრუქციისას, პ. მელიქიშვილის ინიციატივით გალავანი რუსტირებული საყრდენი კედლით შეიცვალა

მარჯანიშვილის თეატრის შენობა (ყოფილი სახალხო სახლი) არქიტექტორმა მიხეილ ოჰანჯანოვმა, პეტერბურგელ არქიტექტორ ს. კრიჩინსკისთან ერთად ააგო 1902–1909 წლებში. შენობა მოდერნის სტილის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

მწერალთა სახლი (ყოფილი დავით სარაჯიშვილის საცხოვრებელი სახლი), აგებულია 1903-1905 წლებში, არქიტექტორ კარლ ცაარის მიერ. შენობა მოდერნის სტილის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.

უნივერსიტეტის I კორპუსი (ყოფილი სათავადაზნაურო გიმნაზია) არქიტექტორ სიმონ კლდიაშვილის მიერაა აგებული 1900-1906 წლებში და კლასიციზმის სტილის არქიტექტურის ნიმუშია, რომელიც რენესანსის არქიტექტურულ მოტივებს შეიცავს.

მიხეილ ოჰანჯანოვის მიერაა აგებული, 1911-1913 წლებში, ახლანდელი ეროვნული ბანკის შენობა ლეონიძის ქუჩაზე (საბჭოთა ხანაში დაშენეს მესამე სართული), რომელიც მოდერნის სტილის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

ქაშუეთის ეკლესია, 1904-1910 წლებში, გერმანელი არქიტექტორის, ლ. ბილფელდის (1839-) მიერა არის აგებული და სამთავისის ტაძრის ასლს წარმოადგენს. არქიტექტორმა არსებულ ლანდშაფტს მიუსადაგა ტაძარი. ამგვარად მთავარ ტაძრის ქვეშ გაჩნდა დამატებითი სივრცე, რომელშიც დღეს წმინდა მარინეს სახელობის ეკლესიაა განთავსებული. ლანდშაფტმა აგრეთვე განაპირობა ტაძრის სამხრეთ ფასადზე კიბეებიანი პორტალის მიდგმა.

საჯარო ბიბლიოთეკის მთავარი კორპუსი, (ყოფილი სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკი) არქიტექტორ ანატოლ კალგინის (1875-1943) მიერაა აგებული 1913-1916 წლებში (მხატვარი ჰ. ჰრინევსკი, რელიეფები შესრულებულია ძმებ ნეოფიტე, ვლადიმერ და ნიკო აგლაძეების და მათი მოგვარე ლავრენტი აგლაძის მიერ).

ალექსანდრე როგოისკის (-1912) მიერაა აგებული, XX ს-ის 10-იანი წლებში, ახლანდელი TBC ბანკის სათავო ოფისის შენობა (ყოფილი კავკასიის ოფიცერთა ეკონომიკური საზოგადოების სახლი) მარჯანიშვილის ქუჩაზე, რომელიც მოდერნის სტილის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია.



თბილისი მარიოტის შენობა (ყოფილი სასტუმრო „თბილისი“, უფრო ადრე „მაჟესტიკი“) 1914 წელს ააგო არქიტექტორმა გაბრიელ მიხეილის ძე ტერ-მიქელოვმა (1874-1949). ფასადის გაფორმებაში რენესანსისა და ბაროკოს ელემენტებია ჩართული.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის მესამე კორპუსი 1911-1913 წლებშია აგებული, არქიტექტორ მიხეილ ოჰანჯანოვის მიერ, ალაჯანის თანაავტორობით და მოდერნის სტილის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

თბილისის „ოფიცერთა სახლის“ სახელით ცნობილი შენობა (ყოფილი „ტიფლისის კრუჟოკი“). არქიტექტორმა დავით ჩისლიევმა ააგო 1916 წელს. იგი ნეოკლასიციზმის სტილის ნაგებობაა. კორეატიდები შენობის ფასადის კუთხეებში შექმნილია იაკობ ნიკოლაძის მიერ. 1918 წელს შენობის სარდაფში გაიხსნა კაფე „არგონავტთა ნავი“, რომელიც მოხატეს კირილე ზდანევიჩმა, ალექსანდრე ბაჟბეუქ-მელიქოვმა და ლადო გუდიაშვილმა.

თბილისის სადარბაზოები

რკინის ჭვირული ჭიშკარი

XX საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრება

XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ქართული არქიტექტურა სრულიად ახალი მიმართულებით განვითარდა. 1921-1932 წლების ხუროთმოძღვრებაში შეინიშნება, ერთი მხრივ, ეროვნული ფორმების გამოყენება (კინოსტუდია „ქართული ფილმის“ შენობა. 1930 წ. არქიტექტორი მ. ბუზ-ოღლი; აქვე შეიძლება მოვიაზროთ ცოტა ადრე, 1913-1916 წლებში აგებული საჯარო ბიბლიოთეკის შენობა), ე. წ. ქართული სტილის შექმნა, მეორე მხრივ კი კონსტრუქტივისტული არქიტექტურის პრინციპების შეთვისება.

1933-1955 წლებში არქიტექტურის ძირითად ამოცანად იქცა ეროვნული მემკვიდრეობის ათვისება და თანამედროვე ხუროთმოძღვრების მოთხოვნების შესაბამისად მისი შემოქმედებითი გადამუშავება. ამ პერიოდის ხუროთმოძღვრებაში შეინიშნება მონუმენტალიზმისა და იმპოზანტურობისაკენ სწრაფვა. აღსანიშნავია, რომ, თუ 1920-იანი წლების ქართულ არქიტექტურაში ძირითადად იყენებდნენ ციხესიმაგრეებისა და კოშკების მასიურ ფორმებს, 30-იანი წლებიდან თავს იჩენს ორნამენტების გამოყენებისადმი სწრაფვა. თუმცა ეს დეკორატიული ელემენტები არ პასუხობდნენ ნაგებობათა იდეას და ფუნქციურ დანიშნულებას.

საქართველოს ქალაქების, განსაკუთრებით კი თბილისის ურბანული სტრუქტურა ყველაზე მეტად XX საუკუნის მეორე ნახევრიდან შეიცვალა. შეიქმნა თბილისის განვითარების გენერალური გეგმა, რომლის საფუძველზეც გაშენდა ახალი საცხოვრებელი უბნები, პროსპექტები და მოედნები. განაშენიანება ლანდშაფტის შესაბამისად განვითარდა (მაგ. გმირთა მოედანი – კოსტავას ქუჩა, ფიქრის გორა, ვარაზის ხევი, ზოოპარკი, თერთმეტსართულიანი სახლი (არქიტექტორი კალაშნიკოვი, 1938), ჩელუსკინელების ხიდი (არქიტექტორი ნიკოლოზ სევეროვი. ინჟ. ვ. სალუქვაძე და ნ. სლოვინსკი, 1932-1935), ცირკი (არქიტექტორი მ. ნეპრინცევი, ვ. ურუშაძესთან და ს. სატუნცთან ერთად 1938-1940).

1950-იანი წლებიდან ქართულ არქიტექტურაში, დროის შესაბამისად, გარდატეხა მოხდა. საცხოვრებელი სახლების მშენებლობა დაიწყო ძირითადად დიდ, თავისუფალ ტერიტორიებზე; განაშენიანება მიმდინარეობდა ტიპური პროექტებით, ინდუსტრიული მეთოდებით, ასაწყობი კონსტრუქციებით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მაინც ხორციელდებოდა ცალკეული, საინტერესო ხასიათის არქიტექტურული პროექტები, რომლებშიც ნათლად იკვეთებოდა ქართველ არქიტექტორთა შემოქმედებითი ძიებები. მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური სამეცნიერო ბიბლიოთეკა (1965), საქართველოს მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები (1971), ჭადრაკისა და ალპური კლუბი (1973) და მრავალი სხვ.

▾ გმირთა მოედანი

◂ ე.წ. „ზარია–ვოსტოკას“ შენობა აშენდა 1928–1929 წლებში. არქიტექტორი დავით ჩისლიევი. ნაგებობა კონსტრუქტივიზმის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

▸ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტრო (ყოფილი კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობა). არქიტექტორი ნ. სევეროვი. აშენდა 1930 წელს. ნაგებობა კონსტრუქტივიზმის საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს.

▴ კინოსტუდია „ქართული ფილმი“. 1930 წ. მ. ბუზ-ოღლი

▸ თბილისის ფუნიკულიორის შენობა. არქიტექტორი ზაქარია ქურდიანი. აშენდა 1938 წელს, არქიტექტორების ნ. ქურდიანისა და ა. ვოლობუევის მონაწილეობით.

▾ თამარის ხიდი. არქიტექტორი ნ. სევეროვი. 1932–1935 წწ.



ე.წ. „იმელის“ შენობა. აშენდა 1933–1938 წლებში არქიტექტორ ალექსეი შჩუსევის პროექტის მიხედვით. მოპირკეთებულია ბოლნისის ტუფით და კურსების რუხი ტეშენიტით. ნაგებობა „სტალინური ამპირის“ სტილისაა.

„ტრამვაელთა“ საცხოვრებელი კომპლექსი დიდუბეში. არქიტექტორი დ. ჩისლიევი. აშენდა 1926–1928 წლებში.

დინამო არენა. არქიტექტორი არჩილ ქურდიანი. პირველი შენობა აშენდა 1934–1938 წლებში, რომელიც 1976 წელს საფუძვლიანად განახლდა ა. და გ. ქურდიანების მიერ (კონსტრუქტორი შ. გაზაშვილი). სტადიონის არქიტექტურაში იკვეთება ეროვნული ხუროთმოძღვრების ფორმების გამოყენების მცდელობა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია (ყოფილი საქნახშირის შენობა). აიგო 1953–1958 წლებში. არქიტექტორები: კ. ჩხეიძე, მ. ჩხიკვაძე. შენობა წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომის შემდგომი საბჭოთა კლასიკურ-მონუმენტური სტილის არქიტექტურის ტიპურ მაგალითს.



მეტეხის ხიდი. აგებულია 1951 წელს. არქიტექტორი ს. დემჩინელი, ინჟინერი გ. ჩომახიძე

სპორტის სასახლე. აგებულია 1961 წელს, არქიტექტორ ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ, ი. კასრაძესთან ერთად. ნაგებობა გამოირჩევა გადახურვის რთული კონსტრუქციით — რკინაბეტონის ასაკრები გუმბათით.

საქართველოს მეურნეობის მიღწევათა გამოფენის პავილიონები. არქიტექტორი ლ. მამალაძე. 1971 წ.

ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი. აიგო 1971 წელს. არქიტექტორი ივანე ჩხენკელი.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ბიბლიოთეკა. არქიტექტორები გ. ლეჟავა, ი ლიბერმანი. 1965 წ.

საქართველოს ბანკის სათავო ოფისის შენობა (ყოფილი გზათა მშენებლობის სამინისტრო) აიგო 1974 წელს არქიტექტორ გ. ჩახავას მიერ, ზ. ჯალაღანიასთან ერთად; ინჟინრები: თ. თხილავა და ა. კიმბერგი. ნაგებობა პოსტკონსტრუქტივისტული სტილის ნიმუშია ბრუტალისტური სტილის ელემენტებით.

სიტყვის კონა

აკროპოლისი – ძველი ბერძნული ქალაქის გამაგრებული ნაწილი, შემაღლებულ ადგილზე, სადაც განლაგებული იყო საზოგადოებრივი და საკულტო ნაგებობები

ამპირი – გვიანდელი კლასიციზმის სტილი; სტალინური ამპირი – პარადული მონუმენტალიზმის, პატრიოტული ხელოვნების დეკორაციებისა და ტრადიციული მოტივების კომბინაცია სოციალისტური ხანის არქიტექტურაში (1933 წლიდან)

ანტები – ანტიკური შენობის გრძივი კედლის შვერილები, რომელიც ორი მხრიდან ზღუდავს სწორკუთხა მოხაზულობის ნაგებობის პორტიკის (შესასვლელის) სივრცეს

ანფილადა – ერთ გრძივ ხაზზე განლაგებული, კარებით დაკავშირებული ოთახების, დარბაზების რიგი

აფრა - სფერული სამკუთხედის ფორმის კონსტრუქციული ელემენტი, რომელიც იძლევა სწორკუთხა ფუძიდან გუმბათოვანი გადახურვისკენ გადასვლის საშუალებას

აფსიდა - აბსიდი; ნახევარწრიული მოხაზულობის, შეკრული კამარით გადახურული არქიტექტურული კონსტრუქცია

აქსონომეტრია – ნახაზზე საგნის გამოსახვის ხერხი

ბანი – შენობის ბრტყელი სახურავი

ბაროკო – მიმდინარეობა სახვით ხელოვნებასა და არქიტექტურაში, რომელიც XVII საუკუნის ევროპაში ბატონობდა მანიერიზმსა და როკოკოს მიმდინარეობებს შორის. ბაროკოს არქიტექტურა გამოირჩევა გრანდიოზული შიდა სივრცით, მასშტაბური კოლონადებით, ინტერიერისა და ფასადების გადამეტებული დეკორატიული და სკულპტურული გაფორმებით.

ბემა – გუმბათქვეშა სივრცესა და აფსიდებს შორის მოთავსებული სწორკუთხა სივრცე

ბრუტალიზმი – არქიტექტურული სტილი, რომელიც მოდერნისტულ მიმდინარეობას გამოეყო და 1950-1970-იან წლებში გავრცელდა. ბრუტალისტური შენობებისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია განმეორებადი კუთხური გეომეტრიული ფორმები, რომელთა ზედაპირზე განგებ დატოვებულია ხის ყალიბების უხეში ტექსტურა, რომელშიც ბეტონი იყო ჩასხმული

გალერეა – შენობის სხვადასხვა ნაწილების დამაკავშირებელი გრძელი სათავსი, სვეტნარი ან თაღედი; მაყურებელთა დარბაზის ზედა იარუსი.

გოთიკური სტილი – ამ ტერმინით აღინიშნება არქიტექტურა და მხატვრობა, რომელიც დომინანტური იყო ევროპის უმრავლეს ქვეყანაში გვიანდელ შუა საუკუნეებში. განზოგადებული მნიშვნელობით ის მთელი შუა საუკუნეების (XII საუკუნის შუა წლებიდან XVI საუკუნის დასაწყისამდე) ხელოვნების აღსანიშნადაც გამოიყენება. გოთური არქიტექტურა შეისრული თაღებით, ჯვარედინი კამარებითა და არკბუტანებით გამოირჩევა.

დოლმენი – პირველყოფილი თემური საზოგადოების მეგალითური ნაგებობა – სამარხი, ჰორიზონტალური ფილით გადახურული, ვერტიკალურად დაყენებული რამდენიმე დიდი ზომის ქვა, ლოდი ან ფილა

ეკვდერი – 1. სამლოცველო; ეკლესიის სიახლოვეს აგებული ან ეკლესიას მიშენებული მცირე სალოცავი;
2. ეკლესიას მიდგმული საგვარეულო აკლდამა

ეკლექტიზმი – სხვადასხვა სტილის მხატვრული ელემენტების და არქიტექტურული მოტივების სინთეზი (დამახასიათებელია XIX საუკუნის მეორე ნახევრისათვის)

ერდო – ჭერში გაჭრილი ღიობი სართულიდან სართულზე ასასვლელად

ვიტრაჟი – სარკმლის ღიობის შემინვა ფერადი მინის ცალკეული ნაჭრებით, რომლებიც ქმნის გარკვეულ ორნამენტს ან ნახატს. შემინვის ამგვარი ხერხი განსაკუთრებით გავრცელდა გოთიკურ არქიტექტურაში.

თაღი – ორ საყრდენს შორის ამოყვანილი მრუდხაზოვანი გადახურვა

თაღედი – სვეტებზე ან პილასტრებზე დაყრდნობილი თაღების რიგი

თაღოვანი მალი – ორ კედელს, სვეტს ან საყრდენს შორის დამაკავშირებელი რკალის ფორმის კონსტრუქცია

კამარა – მრუდხაზოვანი, შეზნექილი ზედაპირის მქონე სივრცითი კონსტრუქცია (გადახურვა).

კანკელი – დეკორატიულად გაფორმებული ქვის ზღუდე, რომელიც საკურთხეველს გამოყოფს ეკლესიის დანარჩენი ნაწილისგან

კაპიტელი – სვეტის თავი

კარიბჭე – ციხის, ქალაქის, სასახლის და ა. შ. გალავანში მთავარი შესასვლელი

კესონი – მხატვრულად გაფორმებული კვადრატული ან მრავალკუთხოვანი ჩაღრმავება ჭერზე, თაღის შიგნითა ზედაპირზე

კონტრფორსები - კედლის ვერტიკალური საბჯენი, რომელიც ამაგრებს კედელს, კედლის ბურჯი; კედლის ვერტიკალური ან დახრილი მასიური შვერილი

კონსტრუქტივიზმი – პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოყალიბებული ავანგარდული მიმდინარეობა არქიტექტურაში, რომელიც ხასიათდება გეომეტრიული, მარტივი, ლაკონიური, მკაცრი ფორმებით და მონოლითურობით

კონქი – შენობის ნახევარწრიული ნაწილის (აფსიდის) მეოთხედსფეროს მოყვანილობის გადახურვა

კორინთული კაპიტელი – აკანთის სტილიზებული ფოთლების გამოსახულებით შემკული სვეტისთავი

კრიპტა – სამარხი

კუპელჰალე (გერმ.) – გუმბათიანი დარბაზი

ლანდშაფტი – ადგილის საერთო ხედი

ლუნეტი – კარის ან სარკმლის თავზე ნახევარწრიული (თაღოვანი) ფორმის ღიობი

მავრიტანული სტილი – არქიტექტურული სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია თაღედი, გუმბათები და მდიდარი გეომეტრიული ორნამენტი; გავრცელებული იყო ესპანეთში, მავრების ბატონობის დროს, VII-VIII საუკუნეებში

მეგალითური ნაგებობა – უძველეს დროში დიდი ზომის გაუთლელი ქვებით (მეგალითებით) ამოყვანილი ნაგებობა.

მეგარონი – ბერძნული საცხოვრებელი სახლის სახეობა, რომელიც გეგმაში წარმოადგენს სწორკუთხოვან ნაგებობას ანტებიანი (კედლის შვერილებს შორის ჩასმული სვეტები) პორტიკით მთავარ ფასადზე. კერა და საკვამური (სახურავში დატოვებული ღიობის სახით) თავსდებოდა დარბაზის ცენტრში

მენჰირი – მეგალითური ნაგებობა, რომელიც წარმოადგენს ვერტიკალურად დაყენებული ქვის უზარმაზარ, ჩვეულებრივ გაუთლელ ლოდს. ასეთი ლოდები დგას ცალკე ან თავისებურ ხეივნის წარმომქნელ პარალელურ რიგებად. მენჰირი ზოგჯერ უხეშად გათლილია და მასზე ამოკვეთილია რელიეფური გამოსახულება. ვარაუდობენ, რომ მენჰირს საკულტო დანიშნულება ჰქონდა.

ნარტექსი – ქრისტიანული ტაძრის სათავსი, რომელიც მას აკრავს დასავლეთის მხარეს; განკუთვნილი იყო მათთვის, ვისაც მლოცველთა მთავარ სადგომში შესვლის უფლება არ ჰქონდა

პასტოფორიუმი – დამხმარე სათავსები ღვთისმსახურებისათვის, განლაგებული საკურთხევლის ორივე მხარეს

პატრონიკე - საპატრონიკე, პატრონიკონი; ტაძარში მეორე იარუსზე, აივნის მსგავსად მოწყობილი ბაქანი (გალერეა) მეფის ოჯახისათვის, მანდილოსნებისთვის ან გუნდისათვის

პილასტრი – კედლის შვერილი, ვერტიკალური სწორკუთხა ან ნახევარწრიული ფორმის ნახევარსვეტი

პილონი – მასიური, სწორკუთხოვანი სვეტი

პორტიკი – შენობის მთავარი შესასვლელის წინ ფრონტონით ან ატიკით დასრულებული სივრცე

პროპილეები - მონუმენტური სვეტებიანი კარიბჭე, შესასვლელი

სადიაკვნე – საკურთხევლის სამხრეთ მხარეს განლაგებული სათავსი

სამკვეთლო – საკურთხევლის ჩრდილოეთ მხარეზე მოქცეული სადგომი, სადაც ღვთისმსახურების ერთ-ერთი წესის აღსრულება – „კვეთა“ წარმოებს, რაც სეფისკვერიდან ნაწილის ამოღებას ნიშნავს

სტოა – სვეტებიანი გრძივი კარიბჭე, ტაძრის მთავარი შესასვლელი ან გარშემოსავლელი

სუბსტრუქცია – ნაგებობის ან მისი ნაწილის ბუნებრივი ან ხელოვნური ძირი, საყრდენი

ტიმპანი – კარის თავზე დეკორატიულად გაფორმებული სამკუთხა ან ნახევარწრიული არე

ტერასა – ფერდობზე გაკეთებული ჰორიზონტალური ბაქანი

ტრომპი – მცირე ზომის თაღოვანი კონსტრუქცია, რომელსაც აქვს კონუსის ნაწილის, სფერული გუმბათის ნახევრის ან მეოთხედის ფორმა და სწორკუთხა მოცულობიდან (კვადრატიდან) წრიულ ან მრავალწახნაგა გუმბათის ყელზე გადასვლის საშუალებას იძლევა

ურბანული განაშენიანება – ქალაქგეგმარება, ქალაქმშენებლობა

ფასადი – შენობის გარე მხარე

ფიქალი – თხელ ფირფიტებად დაპობილი კლდის ქანი (ქვა)

ფრონტონი – შენობის ფასადის დამაგვირგვინებელი სამკუთხა სიბრტყე

ქარვასლა – ფუნდუკი, თავშესაფარი მგზავრებისა და საქონლისთვის

ქულბაქი – სავაჭრო ადგილი, ბაზარი

ყორღანი – სამარხი, რომელიც წარმოადგენს მიწაყრილს, მის სისქეში დატანილი აკლდამით

ჭვირული – გამჭოლი, აჟურული (დეკორატიული)

გამოყენებული მასალები

ფოტომასალა

საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან; ხელოვნების სასახლის საცავებიდან; საქართველოს ეროვნული არქივიდან; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკიდან; ჟურნალ „ისტორიანის“ არქივიდან.

გურამ აბრამიშვილის, ბადრი ვადაჭკორიას, გოგა ჩანადირის, ირაკლი გედენიძის, ფრიდონ გეგეშიძის, ჯაბა სამუშიას, გიორგი ბაგრატიონის, სულხან ნამიჭეიშვილის, ზურაბ ცერცვაძის, არჩილ კიკვაძის, მარიამ ბესიაშვილის, ლაშა გეგეჭკორის, კოტე იანტბელიძის, დინარა ვაჩნაძის და ნინო ხუნდაძის კერძო კოლექციებიდან.

წიგნში გამოყენებულია ნახაზები ლიტერატურის ნუსხაში ჩამოთვლილი ნაშრომებიდან და ნინო ბრაილაშვილის ჩანახატები, გიორგი ბრაილოვსკის ნებართვით.

ლიტერატურა

1. გიორგი ჩუბინაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. ტომი 1.ტფილისი. 1936
2. ვახტანგ ბერიძე. ქართული ხუროთმოძღვრების ისტორია, ტომი I-II. თბილისი. 2014
3. ვახტანგ ბერიძე. თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები. თბილისი. ტომი 1. 1960, ტომი 2.თბილისი.1963
4.ნინო ბრაილაშვილი. ასეთი მახსოვს საქართველო. ეთნოგრაფიული ჩანახატები. თბილისი.1990
5. ირაკლი ციციშვილი. უჯარმა. თბილისი. 1982
6.Russudan Mepisaschwili. Wachtang Zinzadse. Georgien Werbauten und Kirchen. Leipzi. 1987
7. Тенгиз Квирквелия.Архитектура Тбилиси.Тбилиси. 1982
8. Лонгиноз Сумбадзе. Архитектура грузинского народного жилища Дарбази. Тбилиси. 1984

ძვირფასო მკითხველო, დაახლოებით სამი წლის წინ, როცა „საქართველოს ილუსტრირებულ ისტორიაზე“ დავიწყეთ მუშაობა, „გამომცემლობა პალიტრა L“-სა და ავტორთა ჯგუფს განზრახული გვქონდა, საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპები გაგვეცოცხლებინა. გამოვარჩიეთ 24 მთავარი თემა და შესაბამისად, განვსაზღვრეთ – „საქართველოს ილუსტრირებული ისტორია“ 24 ტომად გამოგვეცა!

თუმცა, მკითხველი და ისტორიკოსები ხშირად გამოთქვამდნენ სურვილს, ტომები იმ ეპოქებისა და მოვლენებისთვისაც მიგვეძღვნა, რომლებიც თავდაპირველ ნუსხაში გათვალისწინებული არ გვქონდა. სწორედ ამიტომ, გადაწყდა 6 წიგნის დამატება – სერია 30-ტომეული გახდა.

ზაბა სამუშია
პროექტის ხელმძღვანელი

ახალი ტომები